ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔᲔᲑᲗᲐᲜ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ № 20 (300) ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲛᲔ-16 ᲬᲔᲚᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ ● 1972 ᲬᲚᲘᲡ 27 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲒᲚᲔᲮᲗᲐ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲜᲢᲔᲚᲘᲒᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲣᲪᲮᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲛᲔᲝᲮᲔᲒᲘᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲒᲐᲡ, ᲛᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲣᲭᲘᲠᲐᲕᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ.

ᲚᲔᲝᲜᲘᲓ ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ

ᲒᲐᲠᲔᲯᲔᲚᲘ ᲓᲘᲓᲔᲑᲐᲗᲘᲡ ᲨᲔᲛᲥᲛᲜᲔᲚᲜᲘ





● ᲙᲝᲛᲑᲐᲘᲜᲔᲠᲘ ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲜ ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲨᲕᲘᲚᲘ
● ᲛᲐᲜᲐᲕᲔᲚᲘ ᲛᲤᲚᲔᲛᲡᲔᲑᲘ ᲨᲝᲗᲐ ᲤᲝᲪᲮᲕᲔᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲣᲚᲘᲙᲝ ᲡᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ.



● ᲓᲦᲔᲒᲠᲫᲔᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲖᲔ

გაიმართა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა გაათავისუფლა ამხანაგი **ედუარდ შევარდნაძე** საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად მისი არჩევის გამო.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად პლენუმმა აირჩია ამხანაგი **პავლე გილაშვილი,** რომელიც მანამდე აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ მუშაობდა.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი **ედუარდ შევარდნაძე** და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ამხანაგი **ოთარ ჩერქეზია.**

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

საქართველოში სტუმრად მყოფი რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარე შტეფან ვოიტეცი 23 ოქტომბერს ეწვია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ედუარდ შევარდნაძეს. შტეფან ვოიტეცთან ერთად იყო რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში გეორგე ბადრუსი.

ედუარდ შევარდნაძეს, შტეფან ვოიტეცსა და გეორგე ბადრუსს შორის გაიმართა გულთბილი, მეგობრული საუბარი.

— მოხარული ვართ მოგესალმოთ თქვენ, — უთხრა ედუარდ შევარდნაძემ სტუმრებს, — საბჭოთა მიწა-წყალზე, საქართველოს მიწა-წყალზე. ყოველი შეხვედრა საზღვარგარეთის ქვეყნების წარმომადგენლებთან, განსაკუთრებით ჩვენს მეგობრებთან, ახალ შესაძლებლობებს ქმნის ხალხთა შორის ფართო და მჭიდრო კავშირურთიერთობის დასამყარებლად, მეგობრობის განსავითარებლად და განსამტკიცებლად საყოველთაო მშვიდობისა და პროგრესის ინტერესებისათვის. ხალხთა მეგობრობის, თანამშრომლობის, ურთიერთგაგების იდეებს ღრმად გაუდგამს ფესვი საბჭოთა ადამიანების გულში.

შეეხო რა საქართველოსა და რუმინეთის ტრადიციულ მეგობრობას, ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა რუმინელ მწერალთა, კომპოზიტორთა, მხატვართა ნაწარმოებების პოპულარობა საქართველოში, დიდი ინტერესი რუმინელი ხალხის კულტურისადმი. — საბჭოთა ადამიანებს, — თქვა მან შემდეგ, — გულწრფელად ახარებთ რუმინეთის მშრომელთა წარმატებანი პოლიტიკურ ცხოვრებაში, ეკონომიკისა და კულტურის დარგში, რომლებიც მოპოვებულია რუმინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით ედუარდ შევარდნაძემ სალამი გადასცა რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასრულებელ კომიტეტსა და მეგობარ რუმინელ ხალხს.

რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარემ შტეფან ვოიტეცმა კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ შესაძლებლობა მიეცა სწვეოდა საქართველოს სს რესპუბლიკას. — ისევე როგორც ყველგან საბჭოთა კავშირში, — განაცხადა მან, — თქვენს რესპუბლიკაში ჩამოსვლის პირველი წუთებიდანვე ყველგან გულითადად გვმასპინძლობენ.

შტეფან ვოიტეცმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს გადასცა რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრებისა და ქვეყნის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა სალამი და ყოველივე საუკეთესო უსურვა მათ.

— ღრმად ვართ დარწმუნებული, — თქვა შტეფან ვოიტეცმა, — რომ ჩვენი პარტიების, სახელმწიფოებისა და ხალხების მეგობრობა და თანამშრომლობა, რაც სოციალისტური თანამეგობრობის ურყევობის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია, დღითიდღე განმტკიცდება და გაღრმავდება.

საუბარს დაესწრნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ალექსანდრე შიტიკოვი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი აბაშიძე.

რუმინელი ელჩის ვიზიტი

რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში გეორგე გადრუსი, რომელიც თბილისში იმყოფება რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების დელეგაციასთან ერთად, 24 ოქტომბერს ეწვია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, საგარეო საქმეთა მინისტრს შალვა ამირანაშვილს. გაიმართა გულთბილი ურთიერთობრული საუბარი.

„ჩირვონა ზმენა“ საქართველოს შესახებ

საბჭოთა კავშირის სახელოვან იუბილესთან დაკავშირებით არა ერთი ბელორუსული ჟურნალი და გაზეთი ბეჭდავს მასალებს მოძმე საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შესახებ.

ახალგაზრდულმა გაზეთმა „ჩირვონა ზმენამ“ ამასწინათ მთელი ნომერი მიუძღვნა მზიური რესპუბლიკის ქალიშვილების და ჭაბუკების ცხოვრებას. სტატიებში „საქართველო დღეს და ხვალ“ (პარედაქციო წერილი), „ყოფ ახალგაზრდა — ნიშნავს ქმნიდე!“ (საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ჯუმბერ პატიაშვილის წერილი) საუბარია საქართველოს რესპუბლიკის განვითარების ისტორიაზე, ახალგაზრდობის მონაწილეობაზე სოციალისტურ აღმშენებლობაში, ჭართველ, ბელორუს და სხვა რესპუბლიკების თანატოლთა მეგობრობაზე. ახალგაზრდა ბელორუსმა მკითხველმა შეიტყო, აგრეთვე თბილისის შე-3 სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივის შრომითი საქმიანობის შესახებ, ქართველ მეცნიერთა ღვაწლზე, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმზე.

ნომერში მოთავსებული ინფორმაციები, ფოტოსურათები, ნახატები, მკითხველებს მოუთხრობენ მზიური მხარის ქალიშვილებისა და ჭაბუკების საქმიანობაზე.

წიგნი კოტე მარჯანიშვილზე

კიევის გამომცემლობა „მისტეცტვომ“ (ხელოვნება) რუსულ ენაზე გამოსცა წიგნი — „სპექტაკლი, რომელიც ბრძოლისაკენ მოგვიწოდებს“, — ეს არის სტატიებისა და მოგონებების კრებული კოტე მარჯანიშვილის მიერ 1919 წელს კიევში ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყაროს“ დადგმის შესახებ. წიგნი შედგება ორი ნაწილისაგან. პირველში მოთავსებულია ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეთა სტატიები დადგმის შესახებ, მეორეში — სპექტაკლის მონაწილეთა მოგონებები.

პოლონელი მეცნიერები თბილისში

მეგობრული ურთიერთობა აკავშირებთ პოლონეთის ქალაქ ლოძისა და თბილისის უნივერსიტეტებს, ხშირად ცვლიან დელეგაციებს. ამჯერად თბილისში ორ კვირას იმყოფებოდნენ ლოძელი სტუმრები — ისტორიის დოკტორი, პროფესორი ბოჰდან ბარანოვსკი და სსრ კავშირის ისტორიის კათედრის გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ვლადისლავ ბორტნოვსკი.

პოლონელი მეცნიერები გაეცნენ თბილისელი კოლეგების ცხოვრებას, შუზეუმებს, ისტორიულ ძეგლებს და ღირსშესანიშნავ ადგილებს.



სურათზე: კადრი ფილმიდან „მხიარული რომანი“.

კინოსტუდია „ქართული ფილმის“ კავშირონში

„მხიარული რომანი“ დაარქვეს სცენარის ავტორებმა ოთარ რაზმაძემ, ლევან ხოტივარმა და ანზორ სალუქვაძემ ახალ ფერად, მუსიკალურ კინოკომედიას, რომელსაც იღებს რეჟისორი ლევან ხოტივარი. ოპერატორია დუდარ მარგიევი, ფილმისათვის მუსიკა დაწერა კომპოზიტორმა გიორგი ცაბაძემ, მხატვრულად გააფორმა დიმიტრი თაყაიშვილმა.

ფილმში მაყურებლები იხილავენ საქართველოს სახალხო არტისტებს ელენე ჩოხელს და იპოლიტე ხვიჩიას, რესპუბლიკის დამსახურებულ მსახიობს მეგი წულუკიძეს და სხვებს.


პოლიკარპე კაკაბაძე

ჟურნალმა მწერლობამ დიდი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა ქართული საბჭოთა დრამატურგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი პოლიკარპე კაკაბაძე.

პოლიკარპე კაკაბაძის მადლმოსილი ნიჭის წყალობით ქართულმა დრამატულმა მწერლობამ მხარი გაუსწორა დღევანდელობას და ისტატობის ახალ სიმაღლეებს ეზიარა. პოლიკარპე კაკაბაძემ, როგორც ჭეშმარიტმა დიდოსტატმა, ახალი ჟღერა, გაქანება, სიღრმე და გამომსახველობა მიანიჭა ქართულ ორიგინალურ დრამატურგიას, რითაც ჭეშმარიტად უკვდავყო თავისი სახელი ქართველი ხალხის კულტურის სახელოვან მატიანეში.

პოლიკარპე კაკაბაძემ ერთ-ერთმა პირველმა მთელ საბჭოთა დრამატურგიაში დამაჯერებლად ნათელყო, რომ სოციალისტური თანამედროვეობის „ჩვეულებრივ“ ამბებსა და რიგით, „პატარა“ ადამიანებზე შესაძლებელია დიდი მხატვრული ძალისა და შთამბეჭდაობის ნაწარმოებების, ჭეშმარიტად სრულქმნილი დრამატურგიული ნიმუშების შექმნა. „უვარყვარე თუთაბერი“ — შესანიშნავი ნიმუშია ქართული ორიგინალური კომედიოგრაფიისა.

კომედია „კოლმეურნის ქორწინებამ“, მისმა მხიარულმა იუმორმა და სიცოცხლის სიხარულით გამოწვეულმა აღფრთოვანებამ ახალი ნაკადი შეიტანა, ახალი შინაარსით აავსო ჩვენი დრამატურგია. სხვა რომ არაფერი დაეწერა, ეს ორი პიესაც საკმარისი იქნებოდა მისი სახელის უკვდავსაყოფად.



პოლიკარპე კაკაბაძეს ერთნაირად ეხერხებოდა როგორც კომედიის ნიმუშების, ისე ტრაგედიის ჟანრის ნაწარმოებების შექმნა. ჩვენი დროის უპირველესი ქართველი კომედიოგრაფი ჩინებული ტრაგედიების ავტორიც იყო. ისევე როგორც კომედია, პოლიკარპე კაკაბაძემ ორიგინალური ქართული ტრაგედიაც ახალ სიმაღლეზე აიყვანა — „ვახტანგ გორგასალი“ და „დემეტრე მეორე“, მისი ნიჭის სრულყოფი ნიმუშებია.

ქართულ თეატრს დიდი სამსახური გაუწიეს პოლიკარპე კაკაბაძის პიესებმა: „სისხლი სხვათა ლემდე“, „სამი ასული“, „ძველი დაფები“, „ლისაბონის ტუსაღები“, „კახაბერის ხმალი“, „შემთხვევა ნშენებლობაზე“, „ბედნიერი სამჭედლო“, „ციცინათელა“, „პაექრობა“, „ცხოვრების ჯარა“ და სხვა.

ორიგინალურ შემოქმედებასთან ერთად პოლიკარპე კაკაბაძე ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობასაც —თარგმნა რუსი საბჭოთა დრამატურგების რამდენიმე პიესა.


მხცოვანმა ქართველმა დრამატურგმა ქართულ კინემატოგრაფიასაც წაშველა ხელი. მისი სცენარით გადაიღეს კინოსურათი „ქალი ხიდობანიდან“.

პოლიკარპე კაკაბაძე იყო მწერალთა კავშირის წევრი დიდიდან მისი დაარსებისა და საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის უცვლელი წევრი. გამოირჩეოდა უშუალო, მაღალი ზნეობითა და კეთილშობილებით. მისი დიდი დამსახურება მწერლობისა და ჩვენი ეროვნული კულტურის წინაშე ღირსეულად იყო დაფასებული პარტიისა და მთავრობის მიერ — დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით და მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

ხელმაძღიანობით გამორჩეული პოლიკარპე კაკაბაძის ნათელი სახე მარად დარჩება მადლიერი ქართველი ხალხის გულშიც და ქართული ლიტერატურის ისტორიაშიც.

პირველი ცდის წარმატება

ამ ორიოდე თვის წინათ თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ დასტამბა გივი ზვიადაძის „თანამედროვე ამერიკული და ბრიტანული ინგლისურის შეპირისპირებითი ლექსიკონი“ (ინგლისურ ენაზე, რედაქტორები ჯონ მეინი და ვენერა ურუშაძე).



ერთი და იგივე ენის ვარიანტების შეპირისპირებითი შესწავლა თანამედროვე ენათმეცნიერების ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. შეპირისპირებითი ანალიზი ავლენს თითოეული ვარიანტის როგორც სტრუქტურულ, ისე სემანტიკურ თავისებურებებს, რომლის საფუძველზე შესაძლებელი ხდება გამოსაკვლევი ენის განვითარების ტენდენციების დადგენა, ენობრივი აზროვნების ფორმათა აღნუსხვა, ახალი შინაარსობრივი კავშირების პოტენციალის რეალიზაცია და მრავალი სხვა. ამიტომ აუცილებელია ისეთი ლექსიკონის არსებობა, რომელშიც პრაქტიკულად იქნებოდა აღნუსხული და განმარტებული ეს ვარიანტული ცვლილებები.

ამერიკული და ბრიტანული ინგლისურის ესეთი ლექსიკონი შეადგინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის პედაგოგმა გივი ზვიადაძემ, უახლესი ენობრივი მასალისა და ლექსიკოლოგიური მონაცემების ბაზაზე. შრომაში წარმოდგენილია ამერიკული და ბრიტანული ვარიანტები, დაახლოებით 4000 სიტყვისა. თემა მრავალფეროვანია: საყოფაცხოვრებო, სასწავლო ტექნიკური, სამედიცინო-ბიოლოგიური და ა. შ. ფრაზეოლოგიური და ლექსიკური ერთეულების შეპირისპირებისას ავტორი იძლევა მათი მნიშვნელობის ახსნას ინგლისურ ენაზე, მიუთითებს რა მათ შორის არსებულ სხვაობას და საილუსტრაციოდ მოყავს წინადადებები თანამედროვე ამერიკელ მწერალთა ნაწარმოებებიდან.

მნიშვნელობით განსხვავებული სიტყვებისა და გამოთქმების გარდა, ლექსიკონში შეტანილია აგრეთვე სიტყვები, რომლებიც ამერიკულ და ბრიტანულ ვარიანტებში განსხვავდებიან გრაფიკულად ანდა გამოთქმით. სიტყვათა მნიშვნელობა ახსნილია პროფესიული ოსტატობით.

ლექსიკონი სერიოზული შრომაა, რომელიც დიდ დახმარებას გაუწევს არა მარტო ინგლისური ენის შემსწავლელთ, არამედ ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალისტებსაც. ამგვარი ლექსიკონი ჩვენში დღემდე არ არსებობდა და ამიტომ მისი დასტამბვა მისასალმებელია. იგი დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს საზოგადოებას.

მერი იანქოშვილი,
პროფესორი

გივი ზვიადაძის შრომას ჯერ კიდევ დასტამბვამდე გაეცნენ ჰორვარდის უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი ფრანსის სოლანო, მიჩიგანის უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი იან კეტფორდი, ლონდონის ცნობილი გამომცემლობა Longmans-ის ერთ-ერთი განყოფილების მთავარი რედაქტორი, დოქტორი, პროფესორი რანდოლფ კუერკი და სხვები, რომლებმაც მაღალი შეფასება მისცეს ქართველი მეცნიერის ნაშრომს. გთავაზობთ ამონაწერს ზოგიერთი მათგანის რეცენზიიდან:

პროფესორი ალექსანდრე შვეიცერი, ექსპერტი — ლექსიკონი, შედგენილი გივი ზვიადაძის მიერ, წარმოადგენს საჭირო და სასარგებლო ლექსიკოგრაფიულ სახელმძღვანელოს, რომელიც კარგად არის დოკუმენტირებული და ილუსტრირებული საინტერესო მაგალითებით. ვფიქრობთ, რომ ამ სახის სახელმძღვანელო გამოყენებას ჰპოვებდა ინგლისური ენის სწავლების პრაქტიკაში და უთუოდ მოუტანდა სარგებლობას როგორც მთარგმნელებს, ისევე თანამედროვე ინგლისური ლიტერატურის მკითხველთა ფართო წრეს.

ჯონ მეინი, ინგლისელი ლინგვისტი, წიგნის ოფიციალური რედაქტორი — ლექსიკონმა უნდა გაამართლოს მისი ვარგისიანობა განსაკუთრებით იმ გაგებით, რომ ამერიკული და ბრიტანული ვარიანტები შეპირისპირებულია ერთ ტომში სპეციალური მიზნით, რათა შედარდეს ამ ორ ვარიანტს შორის არსებული ყველა ძირითადი სხვაობა. რამდენადაც ვიცი, ამჟამად სხვა ამგვარი ლექსიკონი არ არსებობს!.. ყურადღებით შეგამოწმე ლექსიკონის თითოეული სტატია, ვსინჯავდი რა წყაროებსა და ვიხილავდი განმარტებებს ავტორთან ერთად. ეხლა მე სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ განმარტებანი, ორთოგრაფია, ციტატები და სხვა ზუსტია და ყურადღებით განხილული განთქმული თანამედროვე ლექსიკონების საბოლოო არბიტრად გამოყენებით.

და, ბოლოს მსურს განვაცხადო, რომ პრობლემები მარტო ერთი პირისათვის ამისთანა ლექსიკონის შესადგენად მეტისმეტად დიდია. ამის მიუხედავად, შრომა უეჭველად იმსახურებს გამოქვეყნებას და მისი ავტორის მომავალში მხარდაჭერას.

ჰარი შაიცბარდტი, იენის უნივერსიტეტის პროფესორი, ექსპერტი — ჩემი აზრით, ეს ლექსიკონი მეტად საჭირო სახელმძღვანელო იქნება ინგლისური ენის სპეციალისტებისა და სტუდენტებისათვის.

ვენერა ურუშაძე, დოცენტი — ლექსიკონი წარმოადგენს მეტად საჭირო სახელმძღვანელოს არა მარტო ინგლისური ენის შემსწავლელთათვის, არამედ ყველა იმათთვისაც, ვინც უშუალოდ, თუ არა უშუალოდ არის დაკავშირებული მასთან. ამისთანა ლექსიკონი ჩვენში სიახლეა.

წიგნის დასტამბვის შემდეგ ახალგაზრდა მეცნიერმა გივი ზვიადაძემ ბევრი მისალოცი წერილი და დეპეშა მიიღო. გთავაზობთ ერთ მათგანს, რომელსაც ხელს აწერს აკადემიკოსი გიორგი ახვლედიანი.

ჭეშმარიტად მოლოცვისა და დიდი მადლობის ღირსი ბრძანდებით, დიდად პატივცემულო გივი, ესეთი დიდი შრომის გაწევისა და ფრიად სასარგებლო წიგნის შექმნისათვის. გისურვებთ მეტსა და მეტ წარმატებებს. სალამითა და ღრმა პატივისცემით — გიორგი ახვლედიანი.

გაზეთი „სამშობლო“ თავის მხრივ მიესალმება ახალგაზრდა მეცნიერს და უსურვებს შემოქმედებით წარმატებებს.

იცხარა საგაარეჯოშ!

ჩვენი ქვეყნის შემდგომი გაძლიერებისა და მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლების საქმეში თავისი წვლილი შეაქვს ქართველ ხალხს, საქართველოს სსრ-ს, რომელიც სოციალისტური რესპუბლიკას, სოციალისტური ურთიერთდახმარებისა და მეგობრული თანამშრომლობის საფუძველზე, ისტორიის მოკლე მონაკვეთში, გუთნისა და კავის ქვეყნიდან გადაიქცა მსხვილი ინდუსტრიის, მრავალდარგოვანი სოციალისტური სოფლის მეურნეობის, ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის, მოწინავე მეცნიერების მქონე რესპუბლიკად. ამ დიდ გარდაქმნებსა და აღმშენებლობაში კუთვნილი წვლილი შეაქვთ საგარეჯოს რაიონის მშრომელებსაც.

ჩვენი რაიონი გარეკახეთის ნაწილია და მდებარეობს მდინარე ივრის ორსავე ნაპირზე, საერთო ფართობი ათას კვადრატულ კილომეტრზე მეტს შეადგენს, რომლიდანაც 29 ათასი ჰექტარი სახნავ-სათესია.

რაიონის მოსახლეობა უფრო ინტენსიურად არის დასახლებული ივრის მარცხენა ნაპირზე, ცივ-გომბორის ფერდობებზე, თბილის-ბილნალისა და თბილის-გომბორის გზატკეცილების გასწვრივ. მოსახლეობის რიცხვობრივი სიმრავლით რაიონში გამოირჩევა ხაშმი, პატარძეული, ნინოწმინდა, გიორგიწმინდა, მანავი, კაკაბეთი, უანდაური, უჯარმა, გომბორი და, ბუნებრივია, თვით რაიონული ცენტრი — ქალაქი საგარეჯო, რომელსაც „კახეთის კარიბჭეს“ უწოდებენ.

ცივ-გომბორის ქედის სამხრეთისაკენ დახრილი მთის ფერდობარე ცხვედაძე, დიმიტრი ჭაბადარი, შემდგომში მწერალი და ფართოდ აღიარებული თეატრმცოდნე ალექსანდრე ბურთიაშვილი. 1878 წელს დაარსდა „საგარეჯოს მომხმარებელთა საზოგადოება“. მე-20 საუკუნის დამდეგისათვის აქ მუშაობდა სასოფლო-სამეურნეო სკოლა, სოფლის სამკურნალო, კერძო სამრეწველო სასწავლებელი. საგარეჯოში დაიწერა ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისის“ შესავალი...

ადრე საუკუნეებში საგარეჯო „თვალის“ სახელწოდებით იყო ცნობილი. თვალი, სბა-სულხან ორბელიანის განმარტებით, „წყაროთა გამოსადინებელს“ ეწოდება — საგარეჯო ხომ სასმელი წყლის სათავით არის ცნობილი და სახელიც, ალბათ, აქედან წარმოდგა, მაგრამ მას შემდეგ, რაც „ათ-ცამეტთა წმიდათა მამათაგანი“ დავითი ამ სოფლის — თვალის (ო. ს.) უდაბური მინდვრის ბოლოს დაბინავებულა და გაუკეთებია მღვიმე, დავითისათვის უწოდებიათ გარეთ-მჯდომელი, შემდგომ „დავით გარეჯელი“. როგორც უდაბნოს სამონასტრო ისტორიიდან ირკვევა, გარეჯის მონასტერი განსაზღვრულ პერიოდში ფლობდა გარე და შიდაკახეთის მრავალ სოფელს ყმათა და სახნავ-სათესი მინდვრებით, ბაღ-ვენახებით. ამ სოფელთა შორის უოფილა საგარეჯოც.

გარეკახეთის მოსახლეობა ძირითადად მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობას მისდევდა, მაგრამ ეს დარგები ძალზე ჩამორჩენილი იყო, ხორბლის მოსავალი ჰექტარზე 5-6 ცენტნერს აღწევდა, ვენახები თითქმის მთლიანად იყო გაპარტახებული ფილოქსერით. არც მეცხოველეობა იდგა მაღალ დონეზე. გლეხობის მუდმივი თანამგზავრი იყო შიმშილი, ეპიდემია, უმეცრება და უწიგნურობა...

აი ამ მემკვიდრეობით შეხვდნენ რაიონის მშრომელები 1921 წელს. დაიწყო ახალი ერა, ახალი ცხოვრება. კოლმეურნე გლეხობა, საწარმოთა მუშები, ინტელიგენცია უდიდესი ენერგიით და შემოქმედებით იბრძოდნენ და იბრძვიან ქვეყნის წინაშე დასახული ამოცანების განსახორციელებლად. ძირეულად იცვალა სახე რაიონის სოფლებმა — აშენდა ახალი საწარმოები, ქარხნები, ფაბრიკები, საამქროები... არგაგონილ ციფრებს მიაღწია უურძნის, მარცვლეულის, ხილის, ბორცის, რძის, მეცხოველეობისა და მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების წარმოების დონემ. საექსპლუატაციოდ გადაიცა ასობით კვადრატული მეტრი ფართობი საცხოვრებელი სახლები, სკოლები, კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებები, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები. უველა სოფელში შეუვანილია ფართო მოასფალტებული გზები, უველა ოჯახში ბდღვრიალებენ ილიჩის ნათურები, ფეხი მოიკიდა რადიომ, ტელევიზორმა, ტელეფონმა, უურნალ-გაზეთებმა, მსუბუქმა ავტომანქანებმა...

რაიონის მშრომელთა განკარგულებაშია ღვინის ოთხი, საკონსერვო, უველ-კარაქის ქარხნები, მატყლის გადამმუშავებელი ფაბრიკა, მეფრინველეობის ფაბრიკები, მშენებლობის პროცესშია მსუბუქი ავტომანქანის „გაზ-69“ შემკეთებელი ქარხანა, მეღორეობის გიგანტი საბჭოთა მეურნეობა-ფაბრიკა, მანავის ღვინის ქარხანა, ხარაიონო საავადმყოფოს კომპლექსი, საცხოვრებელი სახლები და სხვა.

დღეს რაიონში 39 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაა 10.700 მოსწავლით, რომელთაც 800-მდე მასწავლებელი ასწავლის. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას საშუალო კვალიფიკაციის კადრებს უმზადებს საგარეჯოს ჰიდრომელიორაციის ტექნიკუმი. სკოლამდელი აღსაზრდელების განკარგულებაშია 19 საბავშვო ბაღი და ბაგა.

დღეს უველ სოფელში არის სკოლა, კულტურის სახლი ან სასოფლო კლუბი, ბიბლიოთეკა, სამკითხველო, რაიონის ცენტრში იცნობს ჭართული სპორტის ბრწყინვალე წარმომადგენლების — არსენ მეკოკაშვილის, ლევან თედიაშვილის, გურამ გოგოლაურის, გივი ონაშვილის სახელებს.

კოლმეურნე გლეხობა გაერთიანებულია 13 მსხვილ კოლმეურნეობასა და 7 საბჭოთა მეურნეობაში.

მერვე ხუთწლედში სოფლის მეურნეობის მშრომელებმა აწარმოეს 5.848 ტონა ხორცი, 14.999 ტონა რძე, 53.521 ტონა ყურძენი, 65.269 ტონა მარცვალი, 10.422 ტონა ხილი. გადაჭარბებით შესრულდა აბრეშუმის პარკის, მატყლისა და სხვა პროდუქტების წარმოება.

მერვე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა რაიონის 87 მშრომელი.

მეცხრე ხუთწლიანი გეგმა თავისი მნიშვნელობით და მასშტაბებით გრანდიოზულია. ხუთწლედის პირველი წელიწადი — 1971 წელი — რაიონის მშრომელებმა წარმატებით დაამთავრეს — გადაჭარბებით შეასრულეს სამრეწველო პროდუქციის გამოშვების გეგმები. რაიონში აღიარება პოვეს ვახტანგ კურდღელაშვილმა, ირაკლი ჭურხულმა, გიგა ქვრივიშვილმა, ნუგზარ შაქარაშვილმა და სხვებმა.

მეცხრე ხუთწლედის პირველი წელიწადი რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელთათვის არაჩვეულებრივ საპატიო იყო, ძლიერი, ხანგრძლივი გვალვა წინ გადაეღობა მემინდვრეებსა და მევენახეებს, მებოსტნეებსა და საკვებმომპოვებლებს, მაგრამ სახელოვანმა სოფლის მშრომელებმა შეუპოვრად იშრომეს და გამოცდა ჩააბარეს — რაიონის მშრომელებმა სამშობლოს მიჰყიდეს 13.284 ტონა უურძენი, 3.746 ტონა მარცვალი, 1.874 ტონა ხორცი, 3.163 ცენტნერი რძე, 13.907 ათასი ცალი კვერცხი. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საგარეჯოს მეფრინველეობის ფაბრიკის (დირექტორი ვალერიან თათრიშვილი) შრომისმოყვარე კოლექტივის წარმატებები. გამრჯე მეფრინველეებმა შარშან აწარმოეს 12.848.800 ცალი კვერცხი. ამ მონაცემებს თუ შევადარებთ გასული ხუთწლედის პირველი წლის მთლიანად რაიონში წარმოებული კვერცხის რაოდენობას, მივიღებთ შემდეგ სურათს: 1966 წელს რაიონში წარმოებული იყო სულ 1.586.900 ცალი კვერცხი, ხოლო 1971 წელს — 14.508.100 ცალი, რომელთაგან ფაბრიკამ აწარმოვა 12.248.800 ცალი.

აშენდა და ექსპლუატაციაში შევიდა ქვემო სამგორის სარწყავი სისტემა, რომლის საშუალებითაც რაიონში გასარწყავდა უნაყოფო, მწირი და დაბალმოსავლიანი მიწის ფართობები 23,3 ათას ჰექტარზე, მდინარე ივრის მაცოცხლებელმა წყალმა მწვანედ აალაღანა ნინოწმინდისა და საგარეჯოს, გიორგიწმინდისა და კაკაბეთის, უანდაურისა და ვერხვიანის, ჩაილურისა და მანავის სახნავ-სათესი მინდვრები და ბაღ-ვენახები. იმატა ხვავმა და ბარაქამ, ზეიმობს გამრჯე გარეჯელი კაცის მარჯვენის ნასიკეთარი, შორს გაითქვეს სახელი მევენახეებმა ზინაიდა ოქრომჭედლიშვილმა და ციალა კუჭუაშვილმა, კომბაინერებმა ვალერიან ალექსაშვილმა და ტარიელ ივანიაშვილმა, მწყემსებმა ვასილ საბაშვილმა და გაიოზ ონაშვილმა, მწველავებმა — მარიამ თურმანაულმა, მარიამ ვალალეტკონამ, მექანიზატორებმა შოთა გოცირიძემ, შალვა ლეგაშვილმა, მამა-შვილმა ილია და ვანო ვარდიაშვილებმა, აგრეთვე მრავალმა სხვამ. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საკუთრებაშია 458 ტრაქტორი, 251 სატვირთო ავტომობილი, 104 მარცვლეულის ასაღები კომბაინი, ასობით კულტივატორი და მრავალი სხვა სახეობის თანამედროვე ტექნიკა.

9 თვეში სახელმწიფოს მიჰყიდეს 1.474 ტონა ხორცი, ნაცვლად 1.271 ტონისა, რძე — 2.654, ნაცვლად 2.492 ტონისა, კვერცხი — 16.881.600 ცალი, ნაცვლად 15.555.000 ცალისა, მატყლი — 213, ნაცვლად 176 ტონისა. შესრულებულია აბრეშუმის პარკის წლიური დავალება, რაც შედეგია იოსებ სტალინის სახელობის უანდაურის, კაკაბეთის, ნინოწმინდის, ვერხვიანის კოლმეურნეობების, საგარეჯოს, ხაშმის საბჭოთა მეურნეობების კარგი მუშაობისა.

ფრიად ამაღლდა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების დონე. მწყობრში ჩადგა კეთილმოწყობილი კინოთეატრი 450 მაყურებლისათვის უახლესი დანადგარებითა და აპარატურით, მრავალი საყოფაცხოვრებო და სავაჭრო ობიექტი, რაიონის ცენტრს შეემატა უახლესი ტიპის სასკოლო შენობა 400 მოსწავლისათვის და სხვა.

აი რაიონის მშრომელთა მიერ მოპოვებული ძირითადი მაჩვენებლები. წინ კიდევ თავდადებული შრომა მოგველის სახალხო მეურნეობის უველა დარგში. რაიონის თითოეულმა მშრომელმა კარგად იცის: რაც გაეთდა და კეთდება, უველაფერი მშრომელი ადამიანის სასიკეთოა.

უველა სიკეთის საწინდარი თავდადებული შრომაა — დიდება შრომას!

ოთარ საბაშვილი,
საქართველოს კომუნისტური პარტიის საგარეჯოს რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი.

* * *

სურათზე: საგარეჯოს სედი.



წარსული, აწმყო და მომავალი...

თბილის-კახეთის გზატკეცილით ბედიაურში ჩასული მარცხნივ ოც კილომეტრზე, ორიოდე კილომეტრის შემდეგ, თვალწინ გადაგეშლებათ მაღლობზე შეფენილი, ქვითკირის ორსართულიანი, ლამაზი სახლებით დამშვენებული სოფელი უანდაურა, ერთ-ერთი უდიდესი და უღონიერესი სოფელი გარეკახეთისა, რაშიც თვალის ერთი გადავლებითაც დარწმუნდებით, ხოლო თუ აქაურ ჭარმაგ ადამიანებსაც გაესაუბრებით, მიხვდებით, ეს უძველესი სოფელი როდის აშენდა, როდის დამშვენდა...

სიღარიბე და სიდუხჭირე ოდითგანვე ყოფილა ყანდაურელი გლეხკაცის აკვიატებული თანამგზავრი. ციე-გომბორის ქედის კალთებზე შეფენილი მწირი სახნავ-სათესი, უწყლობა, ბუნების ჰირვეულობა თავის დაღს ასვამდა აქაური კაცის ნაღვაწსა და ნაამაგარს. ალოობიდან ალოობამდე ძლივს ირჩენდნენ თავს ყანდაურელები. იძულებული იყვნენ სოფელი დაეტოვებინათ გარე სამუშაოს ძებნაში.

ესე იყო წინათ, დღეს კი...

ჩვენი კოლმეურნეობა, რომელიც იოსებ სტალინის სახელს ატარებს, მრავალდარგოვანია. მოგვყავს რამდენიმე სახის სასოფლო-სამეურნეო კულტურა, მივდევთ მეცხოველეობას. კოლმეურნეთა თავდადებული შრომით უველა უბანზე კარგი მიღწევები გვაქვს. წლეულს, მაგალითად, რთული კლიმატური პირობებიდა მიუხედავად, მარცვლეული კულტურების უხვი მოსავალი მივიღეთ. წარმატებით ვანაღდებთ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების დავალებებსაც.

მას შემდეგ, რაც მწყობრში ჩადგა ჩვენთა სამგორის სარწყავი სისტემა, ყოველწლიურად სარწყავ ფართობებში ვაშენებთ ათეულობით ჰექტარ ზვარს, რამაც მომავალში დიდი შემოსავალი უნდა მოგვცეს. ვაზის სიყვარული სისხლ-ხორცში გვაქვს გამჯდარი, არ გვეშინია იმისა, რომ გავიჭირდება დიდი ფართობების დამუშავება — კოლმეურნეობის განკარგულებაშია 26 ავტომანქანა, სხვადასხვა დანიშნულების 27 ტრაქტორი, 7 კომბაინი და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. ყოველივე ამას ყანდაურელი მექანიზატორები მართავენ. ამაზე ოცნება რამდენიმე წლის წინათ მართლაც არავის შეეძლო სოფელში, სადაც მთავარი სატრანსპორტო საშუალება ურემი, ხოლო შრომის იარაღი ხის გუთანი, ბარი და თოხი იყო.

ადამიანები მართლაც შესანიშნავი გვყავს. ვამაყობთ, რომ კოლმეურნეობაში შრომობენ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, წარსულში სახელოკანი მეფრინველე, დღეს კი სახელგანთქმული მწველავი ქალი ნინო ადუაშვილი, ლენინის ორდენოსანი ბრიგადირი ვანო ადუაშვილი, რაიონული საბჭოს დეპუტატი, მეექვსეზე ვანო ათაბეგაშვილი, შემინდვრეობის ბრიგადირი შაქრო ბარბაქაძე, რიგითი კოლმეურნეები ალექსი და თამარ გაბრიელაშვილები, მარიამ ჭავახიშვილი, თამარ ცანავაშვილი და სხვანი.

სოფლის ინტელიგენციას აღარ იკითხავთ! პედაგოგები და ექიმები! ორი წლის წინათ ავაგეთ საშუალო სკოლას ახალი შენობა, სავაჭრო ცენტრი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტები... დიახ, დღეს და მნიშვნელოვანი სოფლის წინსვლა.

რაც დრო გადის, უფრო სწრაფად ვითარდება, იზრდება, ეკონომიურად ღონიერდება და მშვენდება ერთ დროს თავისი სიღატაკით ცნობილი გარეკახეთის უდიდესი სოფელი ყანდაურა.

გიორგი ათაბეგაშვილი,
ყანდაურის იოსებ სტალინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე.

ყვავადი

„ივრის თვალსამოთხე ნაპირები — ალაგ ქვიშრობში გამონაქცური ფშანებით, სველი ღვინჭრობებით, ხასხასა მდელოთი, იყო ჩემი ყრმობის ეშბაზი, ჩემი პირველი პოეტური საასპარეზო.

იქ ივრის წნორებს ვუკითხავდი ჩემს პირველ ლექსებს.

იქ რიყიანი და ხმიანი იორი მასწავლიდა ქართული ლექსის მუსიკას“. იგონებს საქართველოს სახალხო პოეტი **გიორგი ლეონიძე** — ქართული პოეზიის ერთ-ერთი ჭურუმი. აქაურ მადლიან მიწაზე დაიზარდნენ, დიდი წვლილი შეიტანეს და შეაქვთ ქართული მწერლობის საგანძურში სხვა გარეჯელ კალმოსნებსაც: სიმონ მთვარაძეს, იოსებ იმედაშვილს, იოსებ მჭედლიშვილს, თეიმურაზ ჯანგულაშვილს, გიორგი ნახუცრიშვილს, რევაზ ინანიშვილს...

ნინოწმინდის ღამე

1926 წლის 26 მარტი. ღამე ნინოწმინდის გალავანში: სანდრო შანშიაშვილი, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, გიორგი ლეონიძე.

ნინოწმინდა... პალატები მეფეთა...
გალავანში — ჯამი აქაფებული;
შენი სახე რისთვის შემომეფეთა,
ხატი იყავ — ვეფხვი დაქალებული...
საზანდარმა ღამე ააცახცახა,
ავთანდილის მწვადი ცეცხლზე შხიოდა,
ცა — ატმებით მსხმოიარე, ჩახჩახა,
და გაზაფხულს რძის სუნი ასდიოდა...
ნინოწმინდა... ჩვენ, როგორც ხაზარები...
ოჰ, იმ ღამეს როგორ აგვაბრიალა
საქართველოს ლექსის მეხანძარენი
ძმობამ, ცრემლმა, სიყვარულის იარამ!
როგორც ხმალი, ძმებო, ტამერლანისა,
სიყვარული ისე დამჯახებია!
მე მივტირი ღამეს ზამბახებიანს
და სიყვარულს ათაბაგის ქალისას;
ძუძუები ოქროს კალმახებია,
წამწამები აქვს თავთუხის ყანისა...
წინანდალის ვაზი აყვავებული,
ჩამოსხმული ოქროთი და თაფლითა,
აფრენილი ბაზიერის დაფითა,
დურაჯი ხარ, მაყვალს შეფარებული!
ნინოწმინდა... ჩვენ, როგორც ხაზარები,
ოჰ, იმ ღამეს როგორ აგვაბრიალა
საქართველოს ლექსის მეხანძარენი
ძმობამ, ცრემლმა, იმ პატარა იარამ!

ჰპტარძეული

პატარძეული... ჩემი სოფელი,
ბავშვობის კერა — პატარძეული,
ჩემი აკვანი წნორის ტოტისა
იქა ყოფილა გადარწეული.
იქ მზრდიდა ხალხი... იქ მზრდიდა დედა
და ხალხის ფიქრი ათასწლეული...
მახსოვს ეზოში დიდი ფშატის ხე,
სიბერისაგან გადაქცეული...
იმ ხის ფესვებში მელანდებოდა
ხალხის მზის ოქრო და განძეული...
ჩემს მზეს ბორბლები არ დამტვრევია,
ჯერ შუადღე მაქვს არდალეული...
მე მინახია ბევრი ქვეყნები
და ქალაქები ათასეული,
მაგრამ სუყველგან მე ხელს მიქნევდა
ჩემი პატარა პატარძეული.

ნატვრის ხე

მოთხრობა



„ხეა ხეა ხერავანდი,
ზედ ასხია შარავანდი“.
ხალხური

დიაკვანი ელეფთერი საღამო ხანს სოფლის მოედანზე იდგა და გლეხებში საუბარს გუნებას აკლებდა.

ეს სწორედ ის ელეფთერია, რომელსაც გასულ თვეს სცემეს კეტებით დღეობაში მოსულმა ჭირვეულმა სტუმრებმა — ელეფთერი რათა გქვიანო! ამ ელეფთერზე იტყოდა სოფლის მღვდელი: ორი ელეფთერი რომ მყავდეს, ერთს უსათუოდ ჩამოვახრჩობდიო!

ელეფთერი ღვინის კაცი უფრო იყო, ვიდრე სულისა, თავქეიფა ლჩინიკო, ღვინის ხაპია! წირვა-ლოცვაზე საღვთო წერილს სულ უღიმღამოდ, ლუღლუღით ჩაიკითხავდა, მაგრამ ფსალმუნის იმ ადგილს, სადაც წერია: „ღვინო ახარებს გულსა კაცისასაო“, დიდი სიყვარულით, დიდის რიხითა და ხმის ამაღლებით წარმოთქვამდა.

შებინდებამდე მინდვრიდან ნახირი დაბრუნდა, ყველამ თავის საქონელს მიაშურა, სოფლის მოედანი დაცარიელდა. უსაქმო ელეფთერს უღარიბესი გლეხი ელიოზღა შერჩა ხელთ.

— მაშ, ეს კი არ იცი, შენ, ძმაო, დაღორებულო, — მიმართა ელიოზს, — რომ ვეშა-წყარო უკვდავების წყალიაო?!

დიაკვანმა გამელელ გოგოს, აბდიას, სველი ლიტრა ჭამოგლეჯა ხელიდან და მიიყუდა. ჯერ პირში წყალი დაიგემოვნა, მერე დაახრიალა, ახლა ზედიზედ იწაფა და კმაყოფილმა, ბედნიერებით ბიბნედილმა, წყნარად თქვა: კაი, ჩემი თავი მოგიკვდეს და აღარა ყავედეს, თუ არ იცი, რა არის ვეშა-წყარო!

— სად არის ეგ წყარო?

— თეთრობიანის მთებში.

აქ ხავსიანი ლოდებიც კი ღაღადებენ...

„იძნებ შენება უნდოდა არხის, და არხის ნაცვლად ციხე აშენა“...
გრიგოლ აბაშიძე.

ტერიტორია, რომელიც დღეს საგარეჯოს რაიონს უჭირავს, უძველესი დროიდანვე იქცევდა ყურადღებას თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით. მასზე გადიოდა ნინოწმინდელოვანი მაგისტრალები, რომლებიც ქართლს კახეთ-ჰერეთთან და ერწო-თიანეთთან აკავშირებდა, ამიტომ ქართული მიწის ამ შედარებით პატარა მონაკვეთზე ხშირად დატრიალებულა სისხლისღვრითა და ტრაგიზმით განუმეორებელი ისტორიული მოვლენები, რომლებიც ზოგჯერ მთელი საქართველოს ბედ-იღბლის გადაწყვეტაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ.

ძნელბედობის ხანაში საგარეჯოს რაიონის ტერიტორიაზე დასახლებული ქართველობა, ისევე, როგორც მთელი ქართველი ერი, შეუპოვრად ებრძოდა ყველა ჯურის მომხდურებს. ბუნებრივია ამ ბრძოლებში თავისი როლი უნდა შეესრულებინათ ციხე-სიმაგრეებს, რომელთა დანიშნულება ქვეყნის თავდაცვის საქმეში ფრიად დიდი იყო.

რაიონის ტერიტორიაზე ბევრი ციხე-სიმაგრე, საყარაულო თუ სათვალთვალო ბურჯ-კოშკია, რომელთა ნაწილი მაღალი მთის მწვერვალებზე წამოჭიმულა, ზოგიც სოფლების შუაგულში აღმართულა.

მაგრამ რაც უნდა სასტიკი ყოფილიყო მტრის შემოსევები, ქართველ ხალხს სამეურნეო საქმიანობისა და კულტურულ-საგანმანათლებლო მშენებლობისათვის თავი არასდროს არ დაუნებებია. ქართული მონასტრები კულტურის ნამდვილი ცენტრები იყვნენ ამ დროისათვის — დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი და ნინოწმინდის ტაძარი — აქ საუკუნეების მანძილზე დუღდა ქართველი კაცის დაუცხრომელი სული და მრავალგვარი საერო თუ სასულიერო ნაწარმოები, სიგელ-გუჯრები და შესანიშნავი ფრესკა-ნახატები ეფინებოდა საქართველოს.

გაგაცნობთ რაიონის ტერიტორიაზე მდებარე რამდენიმე ყველაზე მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრისა და ეკლესია-მონასტრის მოკლე ისტორიას.

ციხე-ქალაქი უჯარმა

ციხე-ქალაქი უჯარმა მდებარეობდა დღევანდელ სოფელ უჯარმის მახლობლად. ფეოდალურ ეპოქაში უჯარმა წარმოადგენდა ქართლის სამეფოს უმნიშვნელოვანეს ციხე-ქალაქს, რომელიც ისტორიული წყაროების მიხედვით ქართლის მეფე ასფაგურ მირდატის ძეს დაუარსებია III საუკუნეში. შემდგომ პერიოდში მეფე ვახტანგ გორგასალს კვლავ განუახლებია იგი და უწოდებია „სიმაგრედ და დიდ ქალაქად“, „აღაშენა ნაშენებითა უზომოითა“. თვითონაც აქვე გარდაცვლილა სპარსთა ისრისაგან მძიმედ დაჭრილი.

უჯარმა კეტავდა ერწო-თიანეთისაკენ, თელავისაკენ მიმავალ გზებს, ამიტომაც კარგა ხნის განმავლობაში ის კახეთის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა და ერთხანს „თითქმის კახეთის დედაქალაქი ყოფილა“ (აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი). მასში მუდმივი მეციხოვნე ჯარი მდგარა — 300 კაცი, რაც არც ისე ცოტაა იმ დროისათვის. 914 წელს არაბთა სარდალმა აბულ კასიმმა ბრძოლით აიღო უჯარმა და დაანგრია იგი.

უჯარმა ქართველ მეფეთა საჭურჭლე ყოფილა. მურვან ყრუს შემოსევის დროს არჩილ მეფეს აქ შეუნახავს თავისი საგანძურის ერთი ნაწილი, შემდგომ ეპოქაში კი გიორგი III-ს სპეციალური საჭურჭლე აუგია, აქვე ინახებოდა სამეფო განძი თამარის დროსაც.

უჯარმა აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების ერთ-ერთ კერას წარმოადგენდა, ცნობილია ამ მიმართულებით ნინოს თანამებრძოლ სალომე უჯარმელის მოღვაწეობა, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი ამ მხარის მოქცევას.

ციხე-ქალაქი ორ ნაწილად იყოფოდა — „შიდა ქალაქი“ და „გარე ქალაქი“. „შიდა ქალაქი“ მდებარეობდა „მთის მწვერვალის გასწვრივ, მდინარე ივრის დონიდან დაახლოებით 100 მეტრის სიმაღლეზე — მთის კალთებით მდინარისაკენ ეშვება ქალაქის ძველი გალავანი ანუ „ვარე ქალაქი“. ამ ციხე-სიმაგრეს საკმაოდ დიდი ფართობი უჭირავს — დაახლოებით 8 კვადრატული კილომეტრი. „შიგა ქალაქის“ დაარსება, მისი ცალკეული უბნების აგება ვახტანგ გორგასლამდე დაწყებულა, მაგრამ იგი უფრო გაუფართოებია.

1950 წელს დაიწყო უჯარმის ციხე-ქალაქის არქეოლოგიური შესწავლა, აღმოჩნდა ძველი მარანი, თოხნევები, უსარკმლო სარდაფები, წყლის საწრეტი მილები, მიწის ფენებში ნრაყლად იპოვეს მხატვრული ჭურჭლის ნამსხვრევები, იარაღის ნამუსრევი. ამავე დროს გაიწმინდა ივრის ხრიკ მთის კალთაზე მდებარე ორი კოშკი. ერთი მათგანი დატანებულია „შიგა ქალაქში“, თაღიანი შესასვლელით. მეორე ზედ მდინარის პირზე დგას და შიგ გადის წყალზე ჩასასვლელი გვირაბი. აქვე აღმოჩნდა თაშპარისდროინდელი სპილენძის ფულები.

ნინოწმინდა

ნინოწმინდა ერთ-ერთი უძველესი დასახლებაა საქართველოში, აქ მოსახლეობა ნეოლითის ხანიდან ცხოვრობს. ისტორიული წყაროები ნინოწმინდას V საუკუნიდან იხსენიებენ, ჯუანშერი „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში“ ჩამოთვლის ყაბტანგის მიერ ახლად დაარსებულ საეპისკოპოსოებს და წერს: „დასუა (ვახტანგ ეპისკოპოსი) ერთი ნინოწმინდას, უჯარმის კარსა“...

VI-VII საუკუნეებში ნინოწმინდა უჯარმასთან ერთად წარმოადგენდა „მსხვილ საზოგადოებრივ-კულტურულ რაიონს“, რომელსაც „საკუთარი ნიუანსი შეაქვს საერთო სამწერლობო ენობრივსა და ორთოგრაფიულ ნორმებში“ (სიმონ ჯანაშია).

ნინოწმინდის ეპარქია ერთ-ერთი წსხვილი ფეოდალური სენიორია ყოფილა აღმოსავლეთ საქართველოში. ნინოწმინდელი ეპისკოპოსი აქტუ-



ნინოწმინდა, პალატები მეფეთა...

გოგლას მხარეო!

— რის წამალია? — მორცხვად იკითხა ელიოზმა.

— წამალი კი არა, უკვდავებაა!

— უკვდავება რა არის?

— სულ ცოცხალი იქნები!

ელიოზი შეკრთა, უკან დაიხია.

— არა, არ მინდა! რათ მინდა, ამ ტანჯვასა და სიღარიბეში?

— მერედა ვინ გაძლევს, შე საცოდავო! განა შენისთანებს მიესვლებათ ვეშა-წყაროსთან?! — და თვალები გადაუბრიალა.

დიაკვანი განაწყენებული წეს-ცჩეროდა ელიოზს, დიდად გაკვირვებული, რომ ასეთი ბნელი და უხეში კაცი ნახა, რომელიც უარს ამბობდა მის მიერ აღმოჩენილ უკვდავების წამალზე.

ტყუილად წყრებოდა დიაკვანი. წვერ-ულვაშეული ელიოზი უსაშველო ღატაკი იყო.

— ისეთია, ისეთი, რომ მშიერი ძაღლი პურს არ გამოართმევსო! — იტყოდნენ ხოლმე მეზობლები და მართლაც უმამულო, უსარჩოო ელიოზის ჩამონგრეული მიწურის წინ მუდამ გუბე იდგა, მწვანე ბუზებით სავსე... ჭონძები... ჩვრები... ჭუჭყი... ნიმშილი... საზიზღარი სიღარიბის უკვდავება რად უნდოდა საწყალ ელიოზს?

ნაზი გულის ადამიანი იყო ელიოზი და თან ცხარე მეცნიერი. ცხოვრების სისასტიკეს მის სულში ვერ ჩაეჭრო ოცნების ნაპერწკალი და თავისივე შეთხზული უცნაური ოცნებებით იფარავდა თავს მხეცივით შემოტეულ სინამდვილისაგან.

ჯერ ოქროკვერცხას, ოქროს მდებელ ქათამს, ეძებდა ბუჩქნარებში, მერე დაეძინა ნათელთევზას დაჭერა და მთელი დღეები დაკარწახებული იდგა იორში: მოჩხრიკა, ამოხაპა იორი, დაღალა ბადე, ჩანკალა; წყლის ტოტებიც დაწურა, ხელაობასაც გადააკლდა, ბაგრამ არ იქნა, ნათელთევზა ვერ იგდო ხელთ და ვერა!

ახლა გულში ჩაედო ხერავანდის ხისა, ანუ ნატვრის ხის ნახვა და მისი ნაყოფის ჭამა; ამ სურვილის ასრულება და მისი გამდიდრება ხომ ერთი იქნებოდა!

ელიოზს სწამდა: იანვრის სასტიკ ყინვიან ღამეში თუ შუაღამისას მოხვდი ტყეში და თუ ცის გახსნას შეესწარ, მაშინ დაინახავ ტურფად აყვავილებულ ჯადოსნურ ხეს. არა მშვენიერება მა', არა სჯობია! ის ხე თურმე ერთ საათში კიდეც აყვავდება, კიდეც ნაყოფს მოისხამს. თუ მისი ნაყოფი ხელთ იგდე, ერთი გაკვნეტა და მორჩა! სიღარიბე იმწამსვე ჩამოგეცლება სამუდამოდ! ვინ უთხრა, ვინ ჩაგონა, დღესაც არ ვიცი! ეს კია, რომ იანვრის ღამეებში, როცა ყინვით ცა გასკდომაზეა, ხშირად დახეტიალობდა დაკონკილი ელიოზი ტყეში, მატოდმარტო. ცის გახსნისა და იმ ნატვრის ხის ნახვის მოლოდინში.

— ან დათვისა არ გეშინია, ან მგლისა, ან აფთრისა, რომ შიშველი ხელებით დაიხარ უღრან ტყეში?

მაგრამ ელიოზის თვალწინ მხოლოდ წითელ-ყვითლად აბრიალებული, აყვავებული ხე იდგა და სხვას ვეღარას ხედავდა — ვერც საშიშს, ვერც სახიფათოს და მისი კონკებში გამოხვეული სხეულიც ოცნებით გახურებული, ეტყობა, ვერ გრძნობდა მოუთმენელ სიცივეს.

ცოლ-შვილი ვედრებით უშლიდა ელიოზს ტყეში სიარულს, მაგრამ მან თავისი არ დასთმო. ბოლოს შეეჩვივნენ კიდეც და თავი მიანებეს. ტყიდან დაბრუნებული შეშის გულდურას ჩამოაყოლებდა ხოლმე ხელს და ოჯახში კიდეც უხაროდათ.

— რა ჰქენი, ელიოზ, იპოვე შენი ნატვრის ხე? — შეევკითხებოდით ღიმილით.

— ვერა, მაგრამ ვნახავ!

— ტყეში რომ ცივა, რომ ბანები და თრთი ამ ფიცხელ სიცივეში?

— მაშ როგორ გინდა, შე ოჯახაშენებულო?

და აი, ერთ ზამთრის დილას, როცა სიცივეს ჭახჭახი გაუდიოდა, ტყიდან მარხილით ჩამოასვენეს გაფიჩხული ელიოზი. ნატვრის ხის ძიებაში, მის ყარაულობასა და ლოდინში, ყინვით აყვავებულ ხის ქვეშ გაყინულიყო.

— მართლაც, ისეთი ლამაზი ხე ამოერჩია საწყალს, რომ იმის დანახვას არაფერი სჯობდა. ყინვას მოერთო ათასნაირი ყვავილებით, არშიებით, რუშებით, ჯინჯილებით, სულ დასურათებული იყო, — ამბობდა ტყის მცველი ბოდაველი, რომელიც შემთხვევით ზედ წასდგომოდა გაყინულ ელიოზს ბნელ ტყეში.

ასე კი იყო...

ელიოზს კუბო თავისი ფარლაგლაგა საბძლის ფიცრებიდან შეუკრეს.

დიაკვანი ელეფთერი ერთხელ კიდევ გამოთვრა ელიოზის ქვლებში და მით მორიგი ოცნება გაიანაღდა. მეორე დღეს მხოლოდ დარდის ამშლელ ნაღვინეობას უჩიოდა.

საწყალი ელიოზი მაინც ვერ გაექცა შემზარავ სინამდვილეს და ოცნების ხეს შეეწირა.

პოეტები მხოლოდ ქაღალდზე რითმებით მოლაპარაკენი ოდი არიან. პოეტური თვალით, პოეტური გულით და დიდი ოცნებით გასხივოსნებული სხვაც ბევრი დადის დედამიწაზე!

ივერიელის ქუჩაზე, ივერიელის ტაძარში

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

ბუჭარესტში,
ივერიელის
ტაძარში ვარ,
ივერიელის ქუჩაზე რომ
აღმართულა,
საკურთხეველი ძველი წიგნივით
გადაშლილა,
სანთლის ანთებას ვერ ვახერხებ
წარმართივით,
აქ მჯდარა იგი —
მღვდელმთავარი,
მისეული თუა ეს ძველი
სავარძელი...
— შენი ხსოვნა ყოველთვის
ჩვენთან არი... —
ჩურჩული ლოცვასავით
გავაგრძელე.
და შენზე მიყვება მოხუცი რუმინელი —
ამ ტაძრის დღევანდელი წინამძღვარი,
ეს გული ზარივით ხმაურობს ჩუმი ღელვით,
სამრეკლოზე გულივით გმინავს ზარი.
აქ მჯდარხარ მწერალი და მეცნიერი,
მხატვარი, მესტამბე, მშენებელი,
აქ გწვავდა შთაგონება ზეციური,
აქ იფერფლებოდი
ღამეთა მთენებელი.
და ახლა ფრესკიდან გადმომყურებ
(ამ ცოდვილ სტრიქონსაც გამირანდავ),
შენი გულის ძგერა
მომეყურა,
შენი ბრძნული მზერა
დამელანდა.
...წაიშალა ჩვენს შორის დროის ზღვარი —
ორი საუკუნე — ჩიტივით გაფრენილი —
ვლახეთს
დაკარგული წინაპარი
ვნახე
და უს დეკსი ავუხსენ სანთელივით.

რად მონაწილეობდა ქვეყნის კულტურულ და სამხედრო საქმიანობაში.

XVI საუკუნიდან, როცა კახეთ-კუხეთის ტერიტორიაზე განმტკიცდა დამოუკიდებელი კახეთის სამეფო, ნინოწმინდის საეპისკოპოსო ერთ-ერთ კეთილმოწყობილ, მდიდარ და ვრცელ სამღვდელმთავროდ გვევლინება. კახეთის მეფეები მას დიდ ყურადღებას აქცევდნენ და სწყალობდნენ. ნინოწმინდელი მეფესთან დარბაზობისას ნეფის მარცხნივ მესამე ან მეოთხე ადგილზე იჯდა.

ისეთ ძლიერ და მდიდარ საეკლესიო ფეოდალს, როგორიც იყო ნინოწმინდელი, შესაფერისი საეპისკოპოსო კათედრალიც უნდა ჰქონოდა. საეპისკოპოსო ტაძარი აქ ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასლმა აიშენა. იგი წარმოადგენდა უგუმბათო ნაგებობას, ბაზილიკას, რომელსაც ჯვრის ფორმა ჰქონდა. მისი გარე ხედი წაგვავდა გოდოლს, რომელიც აშენებული იყო დიდრონი, უსწორმასწორო ლოდებით.

სამება-კაწარეთი

საგარეჯოს რაიონის ისტორიულ ძეგლებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კაწარეთ-სამების მონასტერს, რომელიც იქვე გაშენებულ სოფელ სამებასთან ერთად ცივ-გომბორის ქედის დასავლეთ კალთებზე, სოფლებს — გომბორსა და ნაშენ ზორის მდებარეობდა.

მონასტერი, რომელსაც საკმაოდ ლამაზი შესახედაობა აქვს, ნაწილობრივ დაზიანებულია. მას გარს ერტყმის კოშკებიანი გალავანი. მონასტერი უგუმბათო ბაზილიკური ტიპის სამნავიანი ნაგებობაა, იგი მრავალჯერ არის გადაკეთებული, საეპისკოპოსო კათედრალი ყველაზე ადრეულ ნაგებობას მიეკუთვნება.

სამება-კაწარეთი პირველად IX საუკუნეში მოიხსენიება ისტორიულ თხზულება „მოქცევაი ქართლისაი“-ში. ტოპონიმი „კაწარი“ წარმოშობილია მკაწრავი კვრინჩხის ბუჩქის სახელწოდებისაგან, რაც აქ მცვრია (მკაწრავი-კაწარი).

სამების ტაძრის აგების ზუსტი თარიღი ცნობილი არ არის. არსებული მასალების მიხედვით წმინდა ნინოს აქ აღუმართავს ჯვარი, ტრადიცია კი ტაძრის აგებას ვახტანგ გორგასალს მიაწერს.

გვიან შუა საუკუნეებში სამება-კაწარეთი ყოფილა კაწარეთის საეპისკოპოსოს კათედრალი. ეს საეპისკოპოსო არც ისე ვრცელი და უფლებრივადაც შეზღუდული ყოფილა.

1723 წელს მოთარეშე ლეკებს გაუნადგურებიათ სოფელი სამება, მისი მოსახლეობა მახლობელ სოფლებში — ხაშმში, პატარძეულში, უჯარმაში, საგარეჯოში გაიხიზნება. ეს ბედი ეწვია სხვა სოფლებსაც, რომლებიც კაწარეთის საეპისკოპოსოს მიეკუთვნებოდა: ფადლაშენს, საბაწმიდას, ვეხთას, ტაძრებს, ლეგას, არ-ივაღის, ძველ პატარძეულსა და სხვას. ლეკთაგან აკლებისა და ადგილობრივ მკვიდრთა მიერ საღოცავის მიტოვების გამო 1765 წელს კაწარეთის საეპისკოპოსო გაუუქმებიათ, კაწარეთის მონასტერი კი უდაბნოს ნათლისმცემლის მონასტრის ზედამხედველობისათვის დაუქვემდებარებიათ.

დავით გარეჯის მონასტრების კომპლექსი

ჩვენი ქვეყნის კულტურული განვითარების საქმეში გარეჯის „მრავალთის“ უდაბნოს მონასტრებმა დიდი როლი შეასრულეს, აქ ინტენსიურად ღვიოდა ლიტერატურული ცხოვრება, მრავალი დაწერილა თუ გადაწერილა ძველი ქართული ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი ძეგლი. სხვადასხვა დროს აქ მოღვაწეობდნენ დავით აღმაშენებლის ძე დემეტრე I, ცნობილი პიმნოგრაფი, ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილი — ქართლის კათალიკოსი, ტიმოთე გაბაშვილი — განთქმული მოგზაური, ანტონ I კათალიკოსი, სულხან-საბა ორბელიანი და მრავალი სხვა.

დავით გარეჯის მონასტერთა კომპლექსის დაარსება დაკავშირებულია 13 სირიელ მამათაგან ერთ-ერთის — ცნობილი საეკლესიო მოღვაწის დავით გარეჯელის სახელთან, რომელმაც VI საუკუნის 30-იან წლებში უდაბნოში თავის მოწაფე ლუკიანესთან ერთად ლავრა დააარსა. იგი თბილისის მთაწმინდიდან გადმოსახლებულა, მყუდრო, ასკეტური ცხოვრებისა და თავისუფალი დროის ძებნაში, რათა გაეშალა ფართო საქმიანობა ქრისტეს რჯულის განსამტკიცებლად. X საუკუნის უცნობი აგიოგრაფის გადმოცემით, დავითის თბილისის ბარემს სპასთან დაკავშირებით უდაბნოს ეწოდა გარეჯა, ხოლო დავითს გარეჯელი (მას მთაწმინდელსაც უწოდებდნენ).

დავითისა და ლუკიანეს მოღვაწეობის პერიოდში ლავრაში ბერების რაოდენობა ისე გაზრდილა, რომ მონასტერი მათ ვეღარ იტევდა, ამიტომ დავითს დაუვალებია თავისი მოწაფე დოდოსთვის — იქვე ახლოს, ჩრდილო-დასავლეთით სამი კილომეტრის დაშორებით მაღალი რქასავით წამოზიდულ მთის კალთებზე გამოეკვეთა საცხოვრებელი გამოქვაბულები და ეკლესია-სატრაპეზოები, რასაც შემდგომ დოდოს რქა ეწოდა.

VI-VII საუკუნეების მიჯნაზე ლუკიანეს ლავრის დასავლეთით დაარსებია ნათლისმცემლის მონასტერი, 855 წელს ცნობილ საეკლესიო მოღვაწეს ილარიონ ქართველს მრავალ მთას კიდევ ერთი ეკლესია აუშენებია.

მე-12 საუკუნის დამლევს უნდა იყოს აგებული ბერთუბანი, მე-14 საუკუნეში — წამებული, მე-11-14 საუკუნეებში — უდაბნო.

მონასტრების უმაღლესი განვითარების ხანად ითვლება XI-XII საუკუნეები, როცა აქ არსებობდა სამხატვრო სასწავლებელი, რომლის კედლებიდან მრავალი ნიჭიერი მხატვარი გამოვიდა.

უდაბნოს სამონასტრო კომპლექსი თავისთავად გრანდიოზული რამ არის, რომელიც მნახველის ყურადღებას იქცევს კედლებში გამოკვეთილი სასულიერო თუ სხვა დანიშნულების ნაგებობებით — საყდრებით, ტაძრებით, სატრაპეზოებით, სენაკებით. ამ გამოქვაბულთა ზოგიერთი კედელი დღესაც დაფარულია ფრესკებით, რომელთა შორის აღსანიშნავია ბერთუბნის მხატვრობა — თამარ მეფისა და ლაშა ვიორგის პორტრეტები. მნიშვნელოვანია უდაბნოს ფრესკებიც (დავით გარეჯელი, დიმიტრი თავდადებული, ექვთიმე მთაწმინდელი).

დავით გარეჯის მონასტრების ბედი მჭიდროდ იყო დაკავშირებული მთელ საქართველოსთან. ქვეყნის განთიადლეობის პერიოდში აქ ჩქეფდა ლაღი, შემოქმედებითი ცხოვრება, ძნელბედობის დროს კი ისევე ობრდებოდა, როგორც საქართველოს სხვა ადგილები, ესე მოხდა 1615 წელსაც, როცა შაჰ-აბასმა გარეჯში 600-ზე მეტი ბერი დახოცა და ააოხრა იგი.

მანავის ციხე

„მთის ძირად არს ძველადი
ციხე
და აწ შემუსვრილი“...

ვახუშტი ბაგრატიონი

მანავის ციხე ზოგიერთი მკვლევარის დადგენით, აშენებული უნდა იყოს XI საუკუნის დამდეგს, როცა კახეთის მეფე კვირიკე III დიდი პოლიტიკურად აერთიანებს ქართველ-კახეთს. იგი წარმოადგენდა ფორპოსტს, რომელსაც კახეთის სამეფო უნდა დაეცვა განჯა-შირვანის ათაბაგებისა და თურქ-სელჯუკთა გამუდმებული თავდასხმისაგან.


ციხე აგებულია მაღალი მთის ღწვერვალზე, რომელიც თავის დროზე უღრანი ტყით ყოფილა დაფარული. აქედან ხელისგულივით მოჩანდა მთელი ივრის ხეობა, რაც ფრიად უძნელებდა მტერს, შეუმჩნევლად დასხმოდა თავს ციხეს.

მანავის ციხეს ირგვლივ კოშკებიანი გალავანი ჰქონია შემორტყმული, გალავანს შიგნით კი მდებარეობდა შიდაციხე ანუ ციტადელი. ციხეს ჰქონია საკუთარი წყალსადენი, რომლის ნაშთები დღესაც არის შემორჩენილი აქვე ყოფილა დამხმარე და საკულტო ნაგებობანი. საშიშროების დროს ციხეში თავს აფარებდა მანავისა და ახლო-მახლო სოფლების მოსახლეობა.

მანავის ციხის ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული სოფელ მანავის ისტორიასთან. ამ უძველეს სოფელში ყოფილა საქართველოს მეფეთა საზაფხულო რეზიდენცია, მოღოს კი კახეთის მეფეთა რეზიდენციაც. მანაველები სახელმწიფო გლეხები ყოფილან და, მათ ბატონყმობის საწინელი ტვირთი უფრო ნაკლებად განუცდიათ. აღსანიშნავია ისიც, რომ მანავში დიდხანს ცხოვრობდა თეიმურაზ II, რომლის ძემ, ერეკლე II-მ მანავის ციხის გალავანში აიდგა ფეხი.

ჯიმშერ გულისაშვილი

გომბორის საშუალო სკოლის დირექტორი და ისტორიის მასწავლებელი.



სურათზე: დავით გარეჯის მონასტრის კომპლექსი.

გარეჯელი მიწდია

ამ ადამიანთან შეხვედრაზე ორ დღეს ვფიქრობდი... სახლის განიერი კიბე სწრაფად ავიარე.

დამხვდა ახოვანი, ენერგიული გამომეტყველების ჭარმაგი მამაკაცი. სამოცდაათი წელი სულაც არ ეტყობოდა. გაზეთ „სამშობლოს“ მორიგ ნომერს საგარეჯოს გამრჯე ადამიანებს ვუძღვნით. მეგობრებმა პატივი დამდეს და როგორც საგარეჯოელს, თქვენთან შეხვედრა დამავალესმეთქი. აკადემიკოს ვასილ გულისაშვილს ჩემი საგარეჯოელობა ეამა, მერე გაშალა მოგონებები და მეც მეტი რაღა მინდოდა...

— საგარეჯო ისევე მიყვარს, როგორც ჩემი ტყეები, — მითხრა მასპინძელმა, — ვფიქრობ, სწორედ საგარეჯოში შემიყვარდა ბუნება. კარგად მახსოვს ჩემი ბალღობა, მეოცე საუკუნის დასაწყისი. მამაჩემი—ზაქარია გულისაშვილი — ცნობილი ხალხოსანი იყო, ჯერ საგარეჯოში ასწავლიდა, მერე თბილისში. ბავშვობის წლები იქ გავატარე. უფროსებს დავდევდი ტყე-ველში. ვენახი იორზე გვქონდა და კვირაში ორჯერ ფეხით ჩავდიოდით. ხან შეყელა უნდოდა ვაზს, ხან შეწამელა. უფროსები შრომას მოითხოვდნენ და მეც ვენახში ტრიალი მეხალისებოდა. საღამოობით ხატიკაკლებთან (იქ სადაც დღეს სტადიონია) წარმოდგენები იმართებოდა. „მსახიობებიდან“ დამახსომდნენ კოლა ქვლივიძე და კოლა ქურდოვანიძე. პიესებს ჩვენი ბიძაშვილი, მასწავლებელი იერემია გულისაშვილიც წერდა...

მერეც, როცა თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში ვსწავლობდი, საგარეჯოს, ფერდოსუბანსა და გიორგიწმინდას არაფერი მერჩია. ეს სიყვარული დღემდე შემრჩა, ეხლაც კვირაში ერთხელ მაინც ჩავდივარ.

ბედნიერი ვარ, რომ მეცხრამეტე საუკუნის ბევრი გამოჩენილი ადამიანი მინახავს. მარტო ვაჟას რა დამავიწყებს — ზამთრობით გვესტუმრებოდა ხოლმე თბილისში, მამაჩემი და კომპოზიტორი ნიკო სულხანიშვილი სუფრას მიუსხდებოდნენ, ღვინოს ბევრს არ სვამდნენ. მახსოვს ვაჟა: მაღალი, ჭაღარა, თვალი უკვე დაზიანებული ჰქონდა. პირგაპარსული იყო, ეცვა კარგად მორგებული ჩოხა და რუხი ფერის ახალუხი. მის ხელში ხურჯინი არასოდეს მინახავს (ამბობენ, ვითომ ხურჯინით დადიოდაო). როგორ გაიხარა, როცა მისი „არწივი“ წარმოვთქვი ზეპირად! ვერცხლის აბაზიანი მაჩუქა. ერთხელ, ნასადილევს დასაძინებლად წამოწვა, მაგრამ მალე ადგა. დედაჩემმა უთხრა: ვაჟა, მოისვენე, სად გეჩქარებაო. არა, ჩემო რძალო, უპასუხა, კურდღლის ძიღი ვიციო. მერე აუჩქარებლად გაემზადა და გამოყოლია სამრეველო სკოლაში, სადაც მამაჩემი მუშაობდა. ნიკო სულხანიშვილიც იქვე ასწავლიდა გალობას. სწორედ ნიკო სულხანიშვილი ამეცადინებდა გუნდს. „გაუმარჯოს ვაჟასა, ვაშა, ვაშა ვაჟასა“ — სიმღერით მიესალმნენ მოსწავლეები დიდ მგოსანს.

მამა მოულოდნელად გარდამეცვალა. ოჯახს ბიძები, ილიკო და საზონი ეხმარებოდნენ. გიმნაზიას ვამთავრებდი და სწავლის გაგრძელებაზე ვფიქრობდი. მალე უფროსი ძმებიც მომეშველნენ და 1922 წელს ლენინგრადს წავედი...

...ვასილ გულისაშვილს თავისი მომავალი პროფესია უკვე არჩეული ჰქონდა — ლენინგრადის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. ინსტიტუტი 1926 წელს დაამთავრა და მეტყევეობის კათედრაზე მიიწვიეს ასისტენტად. მუშაობდა, თან ლენინგრადის ქიმიურ-ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა. შრომისმოყვარე ჭაბუკი მალე ლენინგრადის ზოოლოგიისა და ფიტოპათალოგიის ინსტიტუტში გადაიყვანეს დოცენტად. ამ დროიდან ლექციებსაც კითხულობდა. ერთ მშვენიერ დღეს, როცა თავის თავს ჰკითხა, სამშობლოს, ერს რა უნდა ვარგოო, ცხოვრების საინტერესო გზამ კვლავ საქართველოში ჩამოიყვანა. 1931 წელს ახალგაზრდა მეცნიერი თბილისის სატყეო ინსტიტუტის მეტყეეობის კათედრის გამგედ დაინიშნა. მერე ათი წელი-



წადი თბილისის ბოტანიკურ ბაღს მფარველობდა. დღეს სატყეო ინსტიტუტის დირექტორია, უნივერსიტეტში კითხულობს ლექციებს მცენარეთა ეკოლოგიაში.


1932 წელს სრულიად ახალგაზრდამ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. ვასილ გულისაშვილის ოპონენტები იყვნენ აკადემიკოსები სუკაჩოვი და ტიურინი, პროფესორი კაბრანოვი. საგარეჯოელი მეცნიერის შრომამ მაღალი შეფასება დაიმსახურა...

მის სახელს იცნობენ საქართველოში, მოძმე რესპუბლიკებში, იცნობენ საზღვარგარეთაც, ყველგან, სადაც აინტერესებთ დიდი ბუნებრივი სიმდიდრის ტყის ბედიღბალი, ყველგან, სადაც სწავლობენ მცენარეთა განვითარების კანონზომიერებას, მისი სახელმძღვანელოებით სწავლობენ ქართველები და რუსები, სომხები და აზერბაიჯანელები. მისი სახელმძღვანელო „მეტყეეობა“ ჩინურ ენაზეც კი ითარგმნა.

აკადემიკოს გულისაშვილს რომ ჰკითხოთ, თავისი ასზე მეტი ფუნდამენტური ნაშრომიდან სწორედ „მეტყეეობას“ გამოჰყოფს და განსაკუთრებით კი თავის ბოლო ნაშრომებს: „მცენარეთა ეკოლოგიას“, „მცენარეთა განვითარების სტადიურობას“, „ზომიერი ჰავისა და სუბტროპიკული ჰავის მერქნიანი მცენარეების წარმოშობას“. — ამ ნაშრომებში ჩაეჭსოვე მთელი ჩემი ცოდნა და გამოცდილება, — ამბობს მეცნიერი. ცოდნა და გამოცდილება კი დიდი აქვს: თავისი მოღვაწეობის მანძილზე ორმოცზე მეტი მეცნიერებათა კანდიდატი და რამდენიმე მეცნიერებათა დოქტორი გაზარდა. საუკეთესოდ არის მოვლილი მისი სატყეო მეურნეობები გორსა და დიღომში. აქ მოდიან, აღტაცებით ათვალიერებენ და ტყის მოვლა-გაშენების საშუალებებს სწავლობენ ბევრნი, შინაურნი თუ გარეშენი. მათ თვით ის ადამიანი ეხმარება, რომლისთვისაც ერთნაირად საყვარელია საგარეჯოსა და გომბორის, ყვარლისა და ბორჯომის, აფხაზეთისა და ახმეტის ტყეები. ვასილ გულისაშვილი მფარველობს საქართველოს ტყეებს, თავისი სათაყვანებელი ლექსის ოსტატი რომ იყოს, მისებრ, ალბათ, ვერავინ უმღერდა ტყის სინაზესა და სიდიადეს. მისთვის ხომ ტყე სულიერია, ერის განძია, რომელსაც ოდითგანვე დიდი სამსახური გაუწევია ქართველთათვის. საქართველოს მშვენებაა — დედა ჩვენი მადლიანი ბუნებისა.

დღეგრძელი იყოს მისი დამფასებელი და ქომაგი გარეჯელი მინდია!

ჯემალ ქურხული



ნათელი მომავლის გზაზე

ნინოწმინდა და დავით გარეჯა 15 საუკუნის მანძილზე წარმოადგენდნენ არა მარტო რელიგიურ-საკულტო, არამედ საგანმანათლებლო ცენტრებსაც. ამასთან ერთად ღამთა სიავის დროს, როცა ურიცხვი მტერი ივრის სანაპიროებსა და გარეჯის ზეგანს თავის საბანაკოდ გაიხდიდა ხოლმე, ყველაზე მეტად საგარეჯოს შემოგარენი ნადგურდებოდა.

ნგრევა-აწიოკების მიუხედავად, ქართული წიგნი და მწიგნობრობა ქართველ კაცს ხელიდან არ გაუგდია და იგი გუთანთან, ხმალთან ერთად საუკუნოდ შეუსისხლხორცებია. ვინ იცის, რამდენ მწიგნობარს აღუზრდიდა დედასამშობლოს კახეთის ეს მადლიანი მიწა, ურიცხვ რბევა-აწიოკებას რომ არ შეეშალა ხელი.

მხოლოდ რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ გამოანათა იმედის ნაპერწკალმა. მიუხედავად ცარიზმის დიდმპყრობელური და რეაქციულ-კოლონიზატორული პოლიტიკისა, საქართველოში და გარეკახეთშიც შეიქმნა ერთგვარი პირობები განათლების, კულტურისა თუ ჯანმრთელობის დაცვის გამოცოცხლებისა და წინსვლისათვის.

გასული საუკუნის 70-იან წლებში გარეკახეთმა სამშობლოს მისცა მწერლები და საზოგადო მოღვაწეები, რომლებმაც ცარიზმის შავბნელი რეაქციის პერიოდში შეძლეს ხალხში სწავლა-განათლების გაღვივება.

გარეკახეთის წიაღიდან გამოვიდნენ ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, ცნობილი ხალხოსნები ივანე ჯაბადარი, ზაქარია გულისაშვილი, ზაქარია ბილანიშვილი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ავალიშვილი და სხვანი მრავალნი.

მათი ინიციატივით 1875 წელს საგარეჯოში გაიხსნა დაწყებითი ორკლასიანი სასწავლებელი, პირველი ბიბლიოთეკა, სახალხო თეატრი, სასოფლო ბანკი, სამკურნალო, სამომხმარებლო კოოპერატივი და სხვა.

მაგრამ ყოველივე ზემოთქმული ზღვაში წვეთი იყო. მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობითა და მთელი საბჭოთა ხალხის დახმარებით, როგორც მთელ საქართველოში, ისევე გარეკახეთშიც დაიწყო დიდი კულტურული რევოლუცია.

ნათელი რომ გავხადოთ, თუ რა დიდ აღმავლობას მიაღწია სახალხო განათლებამ საგარეჯოს რაიონში, მოვიყვანთ ერთ ციფრს: წლეულს სახალხო განათლების საჭიროებისათვის რაიონში დაიხარჯება 1.960.700 მანეთი.

მარტო უკანასკნელ 5 წელიწადში აშენდა ახალი სასკოლო შენობები პატარძეულში, ხაშმში, გომბორში, მანავში, პატარა და დიდ ჩაილურში, ყანდაურაში, შიბლიანში, საგარეჯოში.

წლეულს გარეჯელმა ახალგაზრდებმა კარგი საჩუქარი მიიღეს. უმოკლეს დროში დამთავრდა და საექსპლუატაციოდ გადაიცა საგარეჯოს ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმისა და № 3 საშუალო სკოლის შენობები. ტექნიკუმის მშენებლობა დაჯდა 840.000 მანეთი. მისი ავეჯისათვის და კაბინეტ-ლაბორატორიების მოსაწყობად დაიხარჯა 156.000 მანეთი, სკოლის მშენებლობაზე კი — 307 ათასი მანეთი. სკოლის კაბინეტები 36 ათასი მანეთის ინვენტარით აღვჭურვეთ.

შარშან რაიონში საშუალო განათლების ატესტატი მიიღო 500-ზე მეტმა ჭაბუკმა და ქალიშვილმა.

განსაკუთრებული ზრუნვით არიან გარემოცული მუშა და კოლმეურნე ახალგაზრდები. სოფლის მეურნეობის სხვადასხვა უბანზე დასაქმებული ახალგაზრდებისათვის გახსნილია მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სამი საშუალო სკოლა, ხოლო საშუალოდამთავრებული მომუშავე ახალგაზრდები იგზავნებიან უმაღლეს სასწავლებლებთან არსებულ მოსამზადებელ კურსებზე.

დღეისათვის საგარეჯოს რაიონში მუშაობს 2 კულტსახლი, სახალხო თეატრი, 24 სასოფლო კლუბი, კინოთეატრი, 14 კინოდანადგარი, სარაიონო ბიბლიოთეკა, 2 მუზეუმი, მუსიკალური სკოლა, 28 სასოფლო ბიბლიოთეკა, 9 კლუბთან არსებობს ბიბლიოთეკები, 2 საჭალაქო ბიბლიოთეკა, სარაიონო საბავშვო ბიბლიოთეკა.

წლეულს რაიონის მშრომელებმა მიიღეს 450-ადგილიანი კინოთეატრი „გარეჯი“.

თუ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საგარეჯოს რაიონში თითზე ჩამოითვლებოდნენ წერა-კითხვის მცოდნე ადამიანები, ეხლა რაიონში მთლიანად ლიკვიდირებულია წერა-კითხვის უცოდინრობა.

რაიონის 500-ზე მეტი ახალგაზრდა სწავლას განაგრძობს რესპუბლიკის დასწრებულ და დაუსწრებელ უმაღლეს სასწავლებლებში. რაიონში ათას კაცზე მეტია უმაღლესი განათლებით. გვყავს 2 აკადემიკოსი, ათზე მეტი მეცნიერების დოქტორი, 100-მდე მეცნიერებათა კანდიდატი და ახპირანტი, ასეულობით სწავლული აგრონომი, ინჟინერი, ექიმი, მექანიზატორი, ვეტექიმი, კულტურისა და ხელოვნების გამოჩენილი ადამიანი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე ოცნებაც კი არ შეიძლებოდა ექიმზე ხალხის ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ერთი ფერშალი ემსახურებოდა. საავადმყოფოზე სომ ფიქრიც კი ზედმეტი იყო.

1929 წელს საგარეჯოში აშენდა 100-საწოლიანი რაიონული საავადმყოფო.

დღეისათვის რაიონის მშრომელთა სამედიცინო მომსახურებას ეწევა 5 საავადმყოფო, 5 საექიმო ამბულატორია, 13 სფერწლო-საბებიო პუნქტი, სანეპიდსადგური, ბავშვთა ბაგა, კბილის საპრატეზო ლაბორატორია. სამედიცინო დაწესებულებები მთლიანად უზრუნველყოფილი არიან თანამედროვე ინვენტარით. რაიონის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე დგას 71 ექიმი, 241 საშუალო მედპერსონალი.

რაიონში შენდება 2 ახალი საშუალო სკოლა, საბავშვო ბაღი, აგრეთვე 2 სასოფლო კლუბი, სარაიონო კულტურის სახლი 600 მაყურებლისათვის, ვეება საავადმყოფო-კომპლექსი 264 საწოლითა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო და სამკურნალო-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაგებობანი.

რაიონს მშრომელები განათლების, კულტურის, ჯანდაცვის ქსელის განვითარებასა და გაფართოებას უმადლიან საბჭოთა მთავრობას და დაუზოგავად შრომობენ, რათა თავიანთი გამრჯე ხელით ბარაქა და ხვავი შემატონ სამშობლოს.

ალექსანდრე ელერდაშვილი,

საგარეჯოს რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგე.



სურათზე: საგარეჯოს პირველი საშუალო სკოლის დამსახურებული მასწავლებელი ივანე ბეჭიაშვილი გაკვეთილზე.

მელიორატორები

აღმოსავლეთ საქართველოში დიდი ჰიდროტექნიკური კომპლექსების მშენებლობა რომ დაიწყო, დღის წესრიგში დადგა მელიორატორთა მომზადების საკითხიც და ქალაქ საგარეჯოს დაშორებით მინდორ „საქარაში“ დაარსდა ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმი.

„საქარა“ ამ მინდორს ტყუილად არ ერქვა. მართლაც ქარიანი იყო ეს ბრადამო და უკაცრიელსა ჰგავდა, მაგრამ მოვიდნენ ჭაბუკები საქართველოს ყოველი კუთხიდან, ისინი, ვინც თავიანთ პროფესიად მელიორატორობა აირჩიეს და გამოაცოცხლეს „საქარა“. სწავლობდნენ ბიჭები, თან სასწავლებლის ეკონომწყობაზე ზრუნავდნენ — გააფართოეს საერთო საცხოვრებელი, მოაწყეს სპორტული მოედნები — მაშინ ტექნიკუმში მხოლოდ ყაჟები სწავლობდნენ.

რამდენიმე ჟამშვება ჰქონდა ტექნიკუმს. კურსდამთავრებულები საქართველოს წყალთა მეურნეობის სისტემაში მუშაობენ და ბევრი მათგანი უკვე ცნობილი მელიორატორია.

გაიზარდა საგარეჯოს ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმის ავტორიტეტი. სასწავლებლის მთავარი პროფილი კვლავ მელიორატორთა მომზადებაა, ნაგრამ უკვე გაიხსნა ახალი სპეციალობებიც და აქ სწავლობენ მომავალი მექანიზატორები, ტექნოლოგები და მშენებლები. სასწავლებელში დღეს გოგონებიც თითქმის იმდენივე არიან, რამდენიც ვაჟები.

აიგო სასწავლებლის ახალი ოთხსართულიანი შენობა. ტექნიკუმის მთელი ფართობი 4.300 კვადრატული მეტრია 36 კლას-კაბინეტით, 9 კაბინეტ-ლაბორატორიით, მათ შორის ტექნიკური მექანიკის, სამშენებლო საქმის, წარმოების ავტომატიზაციის, სოფლის ნეურნეობის მექანიზაციის კლას-კაბინეტებით. სპორტული დარბაზი, საქტო დარბაზი.

სარწყავი არხებით დაიქსელა საქართველო. ივრისა და ალაზნის ჭალებშიც დღითიდღე მატულობს ბარაქა. ამ მდინარეების მაცოცხლებელი წყალი ათასობით ჰექტარ სახნავ-სათეს მიწას რწყავს.

საგარეჯოს ჰიდრომელიორაციულ ტექნიკუმში გამოზრდილ მელიორატორებს დიდი ასპარეზი აქვთ.

მარატ პიტიურიშვილი,

საგარეჯოს ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმის დირექტორი.

სადაც დუღდება „მანავის მწვანე“

მანავურა ღვინო ოდითგანვე განთქმული ყოფილა თავისი საუკეთესო თვისებებით: „ღვინო მანავისა არს კეთილ“ — აღნიშნავს ვახუშტი ბაგრატიონი თავის „აღწერაში“. მეფე თეიმურაზ პირველს მანავში მოზრდილი ზვარი ჰქონდა, ხოლო სოფლის ჩრდილოეთით — ზვარში, სადაც ყანწეულივით ციცა და ანკარა წყარო გადმოჩქეფს, დღესაც შეინჩნევა ხადუღაბებული კედლების ნაშთები, რაც თეიმურაზისეული ძარხის ნანგრევები უნდა იყოს. ამ ადგილებს სოფელში „თეიმურაზის ზვარსა“ და „საცივე მარანს“ უწოდებენ დღესაც.

გაზეთ „ივერიის“ ცნობით, „თეიმურაზ მეფის სუფრაზე შემოდგომით სხვა ღვინო არ იხმარებოდა, თუ არა მანავისა“.

ჟამთა სიავემ იავარყო მეფისეული ზვარიცა და მარანიც, მაგრამ ვერ გააქრო სახსენებელი ეპოსისა, — ქართველი გლეხკაცის მადლიანმა მარჯვენამ გადაარჩინა იგი ათას ცეცხლსა და მახვილს. კვლავ იხარა ნაზვრეებზე მანავის მწვანემ. და განა მარტო ნაზვრეებზე! — თვალუწვდენი ნაჭაობრებიც ვაზმა დაფარა.

„მანავის მწვანემ“ საქვეყნოდ გაითქვა სახელი მას შემდეგ, რაც მისი სამრეწველო დამუშავება დაიწყო. ზუთიოდე წლის წინათ მსოფლიოს საუკეთესო და მიუკერძოებელმა დეგუსტატორებმა მას მაღალი შეფასება მისცეს და ვერცხლის მედალი მიანიჭეს.

დღეს ამ კეთილშობილი, არაჩვეულებრივი გემოსა და ბუკეტის მქონე ღვინის ნედლეულის მწარმოებელი ძირითადად მანავის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაა, რომელსაც უჭირავს 6 ათას-სამდე ჰექტარი მიწა, აქედან საბოლო-სამეურნეო სავარგული 4.011 ჰექტარს შეადგენს, ხოლო 1.155 ჰექტარზე გაშენებულია ვენახები.

ამჟამად ზვრებში ნიადაგის დამუშავება, სასუქების შეტანა, მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები ძირითადად მექანიზმებით სრულდება, რაც, ცხადია, მნიშვნელოვნად ამსუბუქებს მევენახეთა შრომას, ამცირებს დანახარჯებს, ზრდის შრომის ნაყოფიერებას, აიაფებს წარმოებული ყურძნის თვითღირებულებას.

წლითწლობით ივსება ახალი, მაღალმწარმოებლური სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებით მეურნეობის სამანქანო პარკი.

უკანასკნელ წლებში დიდად გაიზარდა მეურნეობაში ყურძნის წარმოების მოცულობა, შესაბამისად — ფულადი შემოსავალიც. მაგალითად, შარშან, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.600 ტონისა, ვაწარმოეთ 4.200 ტონა ყურძენი და ფულადმა შემოსავალმა 2.172 ათასი მანეთი შეადგინა. მეურნეობის მოწინავე მუშებზე, მექანიზატორებსა და აგროსპეციალისტებზე პროდუქციის დანამატისა და პრემიის სახით 250 ათასი მანეთი გაიცა.

ყურძნის უხვი მოსავლის მიღების საქმეში განსაკუთრებით ისახელეს თავი იმ განყოფილებებმა, რომლებსაც ალიოშა ჯაფარიძე და თენგიზ არუნაშვილი ხელმძღვანელობენ. საუკეთესო შედეგები მოიპოვეს აგრეთვე შოთა სტეფნაშვილის, ვალერიან ბაზერაშვილის, ციალა კუპუაშვილისა და ივანე ყორღანაშვილის ბრიგადებმა.

ყურძნის სარეკორდო მოსავალი — 15 ტონა ჰექტარზე — მიიღეს მოწინავე მევენახეებმა ადამ ახალკაციშვილმა, არსენ ქალაქურაშვილმა, ნიკოლოზ პასიკაშვილმა, შალვა დარბაისელმა, მიხეილ რევაზიშვილმა, ვასილ და ეკატერინე მათიაშვილებმა და სხვებმა.

მევენახეობის გარდა, მეურნეობაში ჯეროვანი ყურადღება ექცევა მეცხოველეობის, მეხილეობისა და მემინდვრეობის შემდგომ განვითარებას. გვყავს 300 სული წსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, მათ შორის 110 ძროხა, 203 სული ღორი და 1.750 ცხვარი. 102 ჰექტარზე გაშენებულია ხეხილის ბაღი, 1.000 ჰექტრამდე ფართობი უჭირავს სახნავ-სათესსა და სათიბებს.


ერთ დროს უღარიბესი მანაველი გლეხი ეხლა წელგამართულად ცხოვრობს, ამაღლდა მისი მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის დონე. მეურნეობის ყველა მუშას აქვს ლამაზი, კეთილმოწყობილი ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი, თანამედროვე სტილის ავეჯი, ყველა სახლის სახურავზეა აღმართული ტელევიზორის ანძა, ბევრმა შეიძინა საკუთარი მსუბუქი ავტომანქანა.

არნახულად იცვალა სახე სოფელმა. ბურდიანისა და თარაქის ცხოვრებლები შთებიდან ბარის ჩამოვიდნენ, გაჩნდა ლამაზი მოასფალტებული ქუჩები, სოფლის ცენტრში აშენდა 300-ადგილიანი კულტურის სახლი, სასტუმრო, ადმინისტრაციული სახლი და სასოფლო საბჭოს შენობები, სასადილო. შენდება რაიონში ღვინის უდიდესი ქარხანა, რომელიც 10 ათას ტონა ყურძენს გადაამუშავებს და ძირითადად „მანავის მწვანეს“ გამოუშვებს.

სოფლის ახალგაზრდობის კლუბ-აღზრდას ემსახურება ორი საშუალო და ერთი რვაწლიანი სკოლა, ხუთი საბავშვო ბაგა-ბაღი.

მანაველ მშრომელთა სამსახურშია აგრეთვე საავადმყო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ფართო ქსელი, კლუბი და ბიბლიოთეკა. ისტორიას ჩაბარდა უწიგნურობა.

ელგუჯა დუჩიძე,
მანავის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.



სურათზე: დაღვინდა „მანავის მწვანე“.



მეფრინველეობის გიგანტი ივრისპირეთში

ივრისპირა დაცემულ ვაკეზე ყოველი მხრიდან მოჩანს საგარეჯოს მეფრინველეობის ფაბრიკის თეთრად შეფეთქილი გრძელი კორპუსები. დღის სინათლის ათასობით ლამპიონით გაჩირაღდნებული ეს ადგილები განსაკუთრებით ლამაზად გამოიყურება ღამით, ივრის ველის ჩამუქებულ ფონზე.

შედიოდე წლის წინათ — 1965 წელს გამოჩნდნენ აქ მშენებლები და ბულდოზერმა პირველი სახირკვლი გაჭრა. სულ მალე ქვაღორღითა და ჯაგნარით დაფარული მინდორი უზარმაზარ სამშენებლო მოედნად იქცა, სადაც ერთიმეორეზე მიყოლებით წამოიმართა მომავალი ფაბრიკის საწარმოო კორპუსების კონტურები.

ფაბრიკის მშენებლობა სწრაფი ტემპით წარიმართა და 1968 წელს საექსპლუატაციოდ გადაიცა მისი პირველი რიგი — საინკუბატორო საამქრო, სადაც ნოემბერში 13.650 ცალი კვერცხი ჩაიწყო. ერთი თვის შემდეგ ფაბრიკაში გაჩნდნენ პირველი მახარობლები — ინკუბატორიდან 8.615 წიწილა გადავიყვანეთ მთლიანად მექანიზებულ საწიწილეებში.

სრული სიმძლავრით ფაბრიკა 1971 წელს ამოქმედდა. მის მშენებლობაზე სულ 7501,6 ათასი მანეთი დაიხარჯა, აქედან 449.990 მანეთი საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობას მოხმარდა.

ფაბრიკა გათვალისწინებულია 200 ათას კვერცხმდებ ქათამზე, აქ ყველა სამუშაო პროცესი — ფრინველისათვის საკვებისა და წყლის მიწოდება, გალიების დასუფთავება, კვერცხის გამოკრეფა მექანიზებულია. მექანიზებულია აგრეთვე სასაკლაო, სადაც ავტომატურად ხდება დაკლული ფრინველის პირველადი გასუფთავება.

შარშან — ფაბრიკის სრული სიმძლავრით ამოქმედების პირველ წელიწადს გვყავდა ყველა ასაკის 191,9 ათასი ფრთა ქათამი, აქედან კვერცხმდებელი იყო 82,1 ათასი. ამავე წელიწადს მივიღეთ 12.917,9 ათასი კვერცხი და სახელმწიფოს ჩავაბარეთ 157 ტონა ფრინველის მაღალხარისხოვანი ხორცი. ყოველ ერთ კვერცხმდებ ქათამზე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 150 ცალისა, მივიღეთ 183 ცალი კვერცხი, ამასთან 5 მანეთით გავაიაფეთ ყოველი 1.000 ცალი კვერცხის წარმოების თვითღირებულება. ამ მაჩვენებლების მიხედვით ფაბრიკის კოლექტივი რესპუბლიკაში პირველ ადგილზე გამოვიდა და პირველი ფულადი პრემიაც დაიმსახურა.

განსაკუთრებით კარგი მაჩვენებლები გვაქვს წლეულს. პირველი სექტემბრისათვის ფაბრიკაში სულ გვყავდა 312,7 ათასი ფრთა ქათამი, საიდანაც 118,9 ათასი კვერცხმდები იყო. უკვე მივიღეთ 13.741,5 ათასი ცალი კვერცხი ანუ ერთ კვერცხმდებზე საშუალოდ — 128,1 ცალი. დროის ამ მონაკვეთში მიღებული 1.000 კვერცხის თვითღირებულება გეგმურთან შედარებით, შევამცირეთ 11 მანეთით. მარტო წლეულს ორ კვარტალში ფაბრიკამ კვერცხისა და ხორცის რეალიზაციით 253.916 მანეთი მოიგო, შარშან კი მთლიანმა წლიურმა მოგებამ 208.700 მანეთი შეადგინა. რვა თვეში თბილისის, რუსთავისა და საგარეჯოს მოსახლეობას მივაწოდეთ 162 ტონა ფრინველის მაღალხარისხოვანი ხორცი და 13.249,2 ათასი ცალი კვერცხი.

ფაბრიკის ამ წარმატებებს ძირითადად განაპირობებს ის, რომ ყველა საამქროს, ბრიგადას სათავეში უდგანან კვალიფიციური მეფრინველე სპეციალისტები, რომლებიც თავიანთ მუშაობაში ფართოდ იყენებენ მეცნიერების მიღწევებს, მოწინავე მეფრინველეთა მუშაობის გაცოცდილებას. მათ შორის უნარიანი საქმიანობით განსაკუთრებით გამოირჩევიან ბრიგადირები ელბერდ მღებრიშვილი, თემურ ქარელი, უშანგ მენთეშაშვილი და მორის დალბაშვილი. წარმატებით შრომობენ აგრეთვე თავიანთ უბნებზე რიგითი მეფრინველეები ელისო გოგიჩაიშვილი, მაყვალა ბოჭორიძე, მარგალიტა ჯანდაგაშვილი, მერი კევლაშვილი და სხვები. დროულად ატარებენ ფრინველის დაავადებებთან ბრძოლის პროფილაქტიკურ ღონისძიებებს ვეტსამსახურის სანიტრები მარო ღუღუნაძე, ნანა კანჯარაშვილი და ავთანდილ ჭავჭანიძე.

ფაბრიკის მუშებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი შრომისა და კულტურული გართობა-დასვენებისათვის. მათ განკარგულებაშია სამკითხველო დარბაზი, მოძრავი ბიბლიოთეკა, სასადილო, სადაც შეღავათიან ფასებში მზადდება მაღალხარისხოვანი კერძები. მოგვარებულია აგრეთვე მუშათა საბინაო საკითხი — გვაქვს ორი სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი, ხოლო იმათთვის, ვინც მოშორებით ცხოვრობს, გამოყოფილია ავტობუსები.

ფაბრიკა-გიგანტი ივრისპირეთში დღითიდღე იკრებს ძალას, სულ უფრო იხვეწება მისი ყველა რგოლის მუშაობა, იზრდება ხორცისა და კვერცხის წარმოების მოცულობა. ეჭვი არ არის, რომ მეფრინველეობის ამ მსხვილი კომპლექსის ახალგაზრდული კოლექტივი (აქ დასაქმებულ მუშათა 90 პროცენტი ახალგაზრდობაა) წარმატებით გაართმევს თავს მის წინაშე დასახულ ამოცანას — საქართველოს დედაქალაქს მისცემს რაც შეიძლება მეტ კვერცხსა და ფრინველის მაღალხარისხოვან ხორცს.

ვალერიან თათრიშვილი,
საგარეჯოს მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი.



სურათებზე: ახალგაზრდა მეფრინველე ეთერ ყუშიტაშვილი. მეფრინველეობის ფაბრიკის ხედი.

იმატოს ბარაქამ

ვინც ერთხელ მაინც ყოფილა ივრისპირეთში, არ შეიძლება არ სმენოდეს ნაიორალის ტრიალი მინდვრების შესახებ.

აქ უძველესი დროიდანვე გიორგიწმინდელები ხნავდნენ და თესავდნენ, მკიდნენ და პირუტყვს აძოვებდნენ.

დღეს აქ ბულდოზერები და ექსკავატორები გუგუნებენ, მოდიან საშენი მასალებით დატვირთული ავტომანქანები, ხარაჩოს ხარაჩო ემატება, იზრდებიან ახალი შენობები, რომლებიც ახლო მომავალში მეცხოველეობის ნაწარმის სიუხვის საგანსახურში ჩადგებიან — შენდება რესპუბლიკაში ერთ-ერთი უდიდესი მეცხოველეობის კომპლექსი — გიორგიწმინდის მეღორეობის ფაბრიკა-გიგანტი, სადაც ყოველწლიურად 24 ათას ღორს გაასუქებენ.

ახალი საწარმო მწყობრში მთლიანად 1973 წლის დამლევს შევა, რის შემდეგაც ფაბრიკა-გიგანტი ყოველწლიურად ჯაბლისსა და რუსთავს 2.800 ტონა ღორის ხორცს მისცემს. ეს კი თითქმის ოთხჯერ აღემატება იმას, რამდენ ხორცსაც წლიურად მთელი საგარეჯოს რაიონი აწარმოებს.

გიორგიწმინდის მეღორეობის კომპლექსი მთლიანად ინდუსტრიულ საფუძველზე იმუშავებს. ფაბრიკაში მომუშავე ადამიანები განთავისუფლდებიან მძიმე შრომისაგან. კომპლექსს ასიოდე კაცი მოემსახურება.


მეღორეობის კომპლექსის საკვები ბაზა ძირითადად ადგილობრივი წარმოებისა იქნება.

მეღორეობის კომპლექსი, როგორც აღვნიშნეთ, მთლიანად საექსპლუატაციოდ 1973 წლის ბოლოს გადაიცემა, მაგრამ მეურნეობაში უკვე შევუდექით მაღალპროდუქტიული ღორების მოშენებას. ამ მიზნით რუსეთიდან ჩამოვიყვანეთ საუკეთესო ჯიშის ღორები, მათ გამრავლებაზე მუშაობენ მეურნეობის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

პირველი შედეგები თვალწინ არის — ჩვენი მეურნეობა ყოველწლიურად უკვე 200 ტონა ღორის ხორცს აწარმოებს.

მეღორეობის ფერმას შესანიშნავად უძღვება ახალგაზრდა სპეციალისტი, პროფესიით ზოოტექნიკოსი ელგუჯა ჩალათაშვილი. ბრიგადირებად და უფროს მწყემსებად აგრეთვე ახალგაზრდები მუშაობენ, რომლებიც მეცხოველეობის სპეციალისტის კვალიფიკაციას თბილისის ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში იმაღლებენ — ვაჟა რევაზიშვილი III კურსზეა, ხოლო ელბერდ ალექსაშვილი II კურსის სტუდენტია. მათ მხარში უდგანან გამოცდილი მეღორეები ვახტანგ ღრეული, სოლომონ დიდმელაშვილი და სხვები.

ოთარ ვაშაკიძე,
გიორგიწმინდის მეღორეობის სახელმწიფო კომპლექსის დირექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.



საგარეჯოს საბურავების შემკეთებელი ქარხანა უმძლავრესია საქართველოში — 1964 წლის 1 ივლისს გაიხსნა. აქ შეკეთებულია და მილიონობით კილომეტრი გაირბინა 396.590 ცალმა საბურავმა. შემოსავალი 74.330 ათასი მანეთი, მოგება — 1.128,4 ათასი მანეთი. ამის შემოქმედნიც გარეჯელები არიან.

ნომერში დაბეჭდილი საგარეჯოს ფოტოები ეკუთვნით იოსებ დავითაშვილს და სერგო თევზაძეს.

დედაენა

საზღვარგარეთელ თანამემამულეთათვის
შედგენილი გალერიან რამიშვილის მიერ
იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ მიხედვით

გაკვეთილი 31



ჯიხვი
ჯიხ-ვი
ჯ ი ხ ვ ი
ჯ


ჯა-მი. ჯე-მი. ჯე-ჯი-ლი.

ჯამი ჯურჯულია. კატა კრუტუნებს. მწვანე ჯეჯილი ბიბინებს.

მაქრო ქუჩის ჰირას ცხოვრობს. ძაღლი ჯოხით მოიგერიეს. ქეთო ატმის ჯემს ჯამს.

ქარი ქრის, წვიმა მოდის. ცარცი და ფანქარი სასწავლო ნივთებია.

ასჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი.



გაკვეთილი 32




რეჰანი
რე-ჰა-ნი
რ ე ჰ ა ნ ი
ჰ

ზა-ჰე-სი. რე-ჰა-ნი. ჰა-ე-რი.

ბეჰემოთი ზოოპარკშია. ტყეში სასიამოვნო ჰაერია. რეჰანი, ჰიტლა და ქონდარი ბოსტნეულია. ქამარი ხეზე ჰკიდია.

კატას კნუტი ჰყავს. ცხენი, ჯიქი, აქლემი, ჯიხვი ცხოველებია. ელგუჯა და ციცინო ჰალვას ჭამენ. ზაჰესი ქარხნებს ამუშავებს.



არ დაივიწყოთ, ისწავლეთ ვეფხვისტყაოსანი ქართულად!



აზრე სჯობია, ძმობილო...

ალაყაფის კარი ფრთხილად შეაღო.

ერთხანს ბურთს ადევნებულ ბავშვებს უყურა.

თვალი შეავლო სახლის აივანებს — განსაკუთრებით ერთს უმზირა დიდხანს...

— ვახტანგ, სახლში ამოდი!...

შეკრთა. იცოდა მას არ ეძახდნენ, მაგრამ კინაღამ გაჰყვა ექვსი ათეული წლის წინათ დაკარგულ დედის ძახილს...

ეზოდან ისევე შეუმჩნეველად გამოვიდა, როგორც შევიდა. პლეხანოვის გამზირს გაუყვა, შემდეგ სანაპიროსკენ ჩაუხვია და მტკვარს ჩააცქერდა. აღარც ახსოვს, რამდენ ხანს დაჰყო მტკვრის პირას. საათს რომ დახედა, რვას თხუთმეტი აკლდა — რვაზე კი კონცერტი ეწყებოდა... ტაქსი გააჩერა და სპორტის სასახლესთან მიყვანა სთხოვა.

— ვახტანგ ერონსკის ბალეტზე მიგეჩქარებათ ალბათ, — ჰკითხა ცნობისმოყვარე მძღოლმა, თან დასძინა, — აქეზენ კიევიდან ჩამოსულ მოცეკვავეებს, ზეგ მე და ჩემი პატარა გოგოც მივდივართ...

ნათქვამი ეამა, არაფერი უპასუხა.

გამომშვიდობებისას ორი სიტყვა დაადევნა: — ვახტანგ ერონსკი კი არა, ვახტანგ ნადირაძე თქვი, უფრო სწორი იქნება, ძმობილო!

* * *

დედისერთა ბიჭი ადრე დაობლდა. ბებია — სალომე გომელაური ზრდიდა. სწავლასთან ერთად ლუკმაპურის შოვნაზეც ზრუნავდა. თეატრი იყო მისი პირველი ბავშვური გატაცება, მერე ძერწვას მიჰყო ხელი. ხიჩერებით აქაც მოხიბლა აღმზრდელები, მაგრამ არც ეს გამოდგა საბოლოო არჩევანი. სახელოსნოს ჰუჰრუტანიდან ხშირად უმზერდა, თუ როგორ ეუფლებოდნენ ცეკვის ხელოვნებას მისი თანატოლები ცნობილი იტალიელი აღმზრდელის მარია პერინის ხელმძღვანელობით. და, 1919 წელს 14 წლის ვახტანგ ნადირაძემ, ვახტანგ ჭაბუკიანის მსგავსად, თავისი მომავალი სამუდამოდ დაუკავშირა საბალეტო ცეკვას.

— შვილო, ვინც გინდა გამოდი, რა ხელობაც გინდა აირჩიე, ოღონდ შენი ბიძაშვილის, საშა გომელაურის კვალს ნუ გაჰყვები, მსახიობი ნუ გამოხვალ, — ჩასჩიჩინებდა ბებია ვახტანგს და თეატრისათვის რომ ჩამოეშორებინა, ჯერ ძმღოლის თანაშემწედ განაწესა, შემდეგ ქიმიის ტექნიკუმში შეიყვანა. ბიჭი კი კვლავ ცეკვის ერთგული რჩებოდა და მოხუცი აღმზრდელისათვის გული რომ არ ეტკინა, პირველ კონცერტზე მაყურებელს ვრონსკის ფსევდონიმით წარუდგა — ვახტანგ ნადირაძე ვახტანგ ვრონსკად „გადაკეთდა“. აი როგორ გაჩნდა პირველად ეს გვარი აფიშებზე, ბებია სალომეს წყალობით, თუ „უწყალობოდ“, — პასპორტში კი ამ ქართველ დიდოსტატს დღესაც უწერია — **ვახტანგ ივანეს ძე ნადირაძე.**

* * *

ოცდაორი წლისა როსტოვის ოპერეტის თეატრში მიიწვიეს სოლისტად. მოხდა ისე, რომ ცეკვების დამდგმელი ავად გახდა. ვახტანგმა ქორეოგრაფობა იკისრა და სახელიც მალე გაითქვა. მერე ბაქოს საოპერო თეატრში მოღვაწეობდა. 1940 წლიდან კი ოდესის ცნობილ საოპერო თეატრშია...

საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწეობდა, მაგრამ მშობლიურ კულტურას მაინც უღებდა ხარკს — ოდესასა და სარატოვის საოპერო თეატრების სცენებზე მისი რეჟისორობით ფალიაშვილის უკვდავი „დაისი“ დაიდგა.

1954 წელს უკვე საქვეყნოდ ცნობილი ხელოვანი კიევის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში მიიწვიეს. ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი ქორეოგრაფი ძმასავით შეიყვარეს უკრაინის დედაქალაქში. სწორედ აქ გაიშალა სრულად ვახტანგ ნადირაძის ნიჭი. სიყვარულს სიყვარულით უპასუხეს უკრაინელებმა. ქართველ შემოქმედს ჯერ რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება მიანიჭეს; უკანასკნელ შვიდ წელიწადს კი ხელოვანისათვის ყველაზე საპატიო წოდებას — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის სახელს ატარებს, თანამემამულის მკერდს ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენები ამშვენებენ.

უკრაინის სახელმოხვეჭილი დასი — „ბალეტი ყინულზე“, 1960 წელს ჩაისახა. ჩანაფიქრის ფრთების შესხმა ვახტანგ ნადირაძეს დაევალა. პრესაში გაჩნდა პირველი განცხადება, რომელიც საბალეტო ცეკვით გატაცებულ ახალგაზრდებს ყინულზე ეპატიჟებოდა. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა: ვახტანგსა და მის თანაშემწეებს ორიასამი თვის განმავლობაში 4 ათასი ჭაბუკისა და ქალიშვილის გასინჯვა მოუხდათ, რომელთაგანაც დასში მხოლოდ 44 ჩაირიცხა...

პირველი კონცერტი ერთი წლის შემდეგ გაიმართა. პრემიერამ ცხადყო, რომ იმ დღიდან ახალგაზრდა მოცეკვავეთა და ვახტანგ ერონსკის შემოქმედებითი ნიჭის აღმასვლა იწყებოდა.

უკრაინის დასი „ბალეტი ყინულზე“ მოსკოველთა წინაშე წარდგა, ლენინგრადსა და რიგასაც ეწვია. თბილისში მათი პირველი ჩამოსვლა უკრაინის კულტურის ზეიმად იქცა...

შემდეგ კი საგასტროლო გზებმა ვახტანგი და მისი მოწაფეები ბულგარეთში, რუმინეთში, პოლონეთში, იუგოსლავიაში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ფინეთში, დასავლეთ ბერლინსა და მექსიკაში ჩაიყვანეს. პატივი, დიდება, გამარჯვება იყო მათი თანამგზავრი...


14 ოქტომბერს სასურველი სტუმრები კვლავ წარდგნენ თბილისელ მაყურებელთა წინაშე. „სიჭაბუკის ზეიმი“ ეწოდება ორგანყოფილებიან რევიუს, რომელიც დადგა დასის მხატვრულმა ხელმძღვანელმა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა ვახტანგ ერონსკიმ, გააფორმა მხატვარმა ალექსანდრე ვოლნენკომ, კოსტიუმები ეკუთვნის ანა გარელიკსა და ეკატერინე გაკებუშს.

პირველი განყოფილება ერთმოქმედებიანი ბალეტია. იგი ობოლი გოგონა მარიჩკასა და უბრალო ჭაბუკის ოლესის წმინდა სიყვარულის ჰიმნია.

მეორე განყოფილებას ეწოდება „ქორეოგრაფიული მინიატიურები“. განყოფილება იწყება გორკის „ქარიშხალას“ თემით, რომელსაც ახლავს შოპენის მუსიკა, შემდეგ რუსული საცეკვაოები, „კაზაჩოკი“ და გლანტერის „კატიუშას“ ჰანგები, ძველებური ინდური ცეკვა, პარიზის „მიუზიკ-ჰოლის“ სცენები... სრულდება ტვისტი, ტანგო, ბერძნული სატრფიალო ცეკვა, „ექსტაზი“ და სხვა.

თბილისელებმა საუკეთესოდ შეაფასეს ბალეტის სოლისტების — საბჭოთა კავშირის ექსჩემპიონის გალინა გრიგორიევსკაიას, უკრაინის მრავალგზის ჩემპიონის იური ორლოვის, სპორტის ოსტატების ელენა სერგეევას, თინა და იაკ გროსების, ირინა ლისიჩენკოს, ლუდმილა და გლებ ტეპოს, თამილა ჩერეზოვას, ივანე კრიუჩკოვის შემოქმედება.

თბილისელმა მაყურებელმა თაიგულები მიართვეს სახელოვან თანამემამულეს, დიდ ხელოვანს ვახტანგ ნადირაძეს...




ერთმანეთს სპორტის სასახლეში შევხვდით. ვიფიქრე, რუსეთსა და უკრაინაში ცხოვრების წელთა სიმრავლემ იქნებ დედაენა დაავიწყა-მეთქი და რუსულად გავესაუბრე. პირველსავე შეკითხვაზე ქართულად მიპასუხა და ჩემს სახეზე გაკვირვება რომ ამოიკითხა, მითხრა ქართულად, მარტო მე კი არა, ჩემი შვილიშვილი პატარა ვახტანგიც ლაპარაკობსო...

საუბარი თითქმის ერთ საათს გაგრძელდა. ძველიც გაიხსენა და ახალზეც ბევრი თქვა. მომავლის გეგმებიც გამაცნო. მითხრა, ჩემს ახალ პროგრამაში ქართულ ქულაჯებში გამოწყობილი ჭაბუკებიც იცეკვებენო.

მენიშნა, როცა თბილისზე ლაპარაკობდა, სახეზე ბედნიერი კაცის ღიმილი დასთამაშებდა, თუმცა ისიც ვიგრძენი — უკრაინის მზით გამთბარ გულში კიევს მშობლიური ქალაქის თანატოლი აღგილი ეჭირა.

მადლი შენ, ქართველო კაცო, ვინაც სამშობლოს ასახელებ ყველგან, მარადჟამს და დედაენასაც შეინახავ როგორც შენთვის, ისე შენი მონაგართათვის!

რევაზ მაჭავარიანი



სურათებზე: ვახტანგ ნადირაძე; „ინდური ცეკვა“. ასრულებს სპორტის ოსტატი ელენა სერგეევა; ფრაგმენტი ცეკვიდან „საღამოს ბარი“.

ედუარდ გიგილაშვილის ფოტოები

რედაქტორი გივი კარბელაშვილი

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.

ინდექსი 66488